საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს უახლეს ისტორიაში ღალატისა და გამცემლობის სამარცხვინო ფურცლები სამუდამოდ დარჩება

თანამედროვეთა და მომავალი თაობებისათვის მწარე გაკვეთილად! — აცხადებენ ქართველი ჟურნალისტები

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.
№ 244 (772)
ხუთშაბათი, 11 ნოემბერი, 1993 წელი
ფასი 200 კუპონი.

პირველი სვეტი

ცნობები დასავლეთ საქართველოდან

აბაშა. რაიონში ვითარება ნორმალურია. მოსახლეობა მიეწოდება ელექტროენერგია, გაზი, ცხვება პური. აქ ჩამოვიდნენ ლენტეხის რაიონის გამგებელი შოთა ლიპარტელიანი და პროკურორი ზურაბ ბენდელიანი. მათ ჩამოიტანეს ფქვილი, ხორცი, კარტოფილი, რაც მოსახლეობამ მადლიერებით მიიღო.

გრძელდება დაუნდობელი ბრძოლა მძარცველთა წინააღმდეგ. ამ ბოლო დღეებში გატაცებული 80 მსუბუქი ავტომანქანა დაუბრუნდა პატრონს. ჩამორთმეულია სანადირო თოფები, ცივი იარაღი. რაიონში სიტუაციას კომენდატურა აკონტროლებს.

სამტრედია. ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტს უბრუნდება. მოსახლეობა იღებს ელექტროენერგიასა და გაზს, რაიონს ძალიან უჭირს საწვავი, დარჩა მცირე რაოდენობის მაზუთი, რომელსაც მხოლოდ პურის საცხობები იღებენ. ქალაქში მოქმედებს კომენდანტის საათი. კომენდანტი პოლკოვნიკი ზაქრო წიწქალაძე ყველა ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ აღდგეს საზოგადოებრივი წესრიგი, მოსახლეობას რწმენა დაუბრუნდეს და რეგიონში ჩვეული რიტმით იცხოვრონ.

სენაკი. ქალაქში ოპერატიული ვითარება სტაბილური ხდება. მოსახლეობა დადებითად შეხვდა პოლიციის ჩამოსვლას და იმედი აქვს, რომ იგი სათანადოდ მიუზღავს ყაჩაღებსა და მაროდიორებს. სენაკის კომენდანტად დაინიშნა დავით გულუა, რომელმაც მტკიცედ მოჰკიდა ხელი საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენას, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ყველა ჯურის დამნაშავეს.

ზუგდიდს მშვიდობა უნდა!

მაოხრებლობა ყველა დროის ყველანაირი ომის თანამდევი სენი იყო. ამ მხრივ არც დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საბრძოლო მოვლენებია გამონაკლისი. ზუგდიდში მაოხრებლობის წინააღმდეგ მიმდინარეობს აქტიური, შეურიგებელი ბრძოლა, რასაც სამთავრობო ჯარებისა და პოლიციის შენაერთები თანამიმდევრულად ახორციელებენ. დანაშაულის ჩადენის ადგილზევე უკვე დახვრიტეს 12 მაროდიორი. მათ მიერ გატაცებული ათობით ავტომანქანა დაუბრუნეს თავიანთ მფლობელებს. დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციათა დროებითი სახელმწიფო კომიტეტის მიერ შემუშავებულია დამნაშავეობასთან ბრძოლის საერთო კომპლექსური გეგმა. საღამოს 19 საათიდან დილის 7 საათამდე გამოცხადებულია კომენდანტის საათი. ქალაქში შემოვიდნენ პოლიციის დამატებითი ძალები, ისინი უშუალოდ ჩაებმებიან დამნაშავეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს იმის გარანტიაა, რომ ზუგდიდში მალე დამყარდება სათანადო საზოგადოებრივი წესრიგი.

ოდიკ ქუხილავა.
ქ. ზუგდიდი.

პური ჩვენი არსობისა

განიხილეს მოსახლეობის პურით მომარაგების საკითხი

10 ნოემბერს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა მოსახლეობის პურით მომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვიცე-პრემიერები, მინისტრები, შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები. გამოიკვეთა უმთავრესი პრობლემა — დედაქალაქის მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის აუცილებლობა.

თათბირზე ითქვა, რომ თბილისში სადღეისოდ იმაზე მეტი პური ცხვება, ვიდრე ეს რეალურად სჭირდება ქალაქს. მიუხედავად ამისა, პურით მომარაგებაში მაინც საგრძნობი დეფიციტია: არის გაუთავებელი რიგები, პური გააქვთ მეზობელ რეგიონებში, თუმცა პურის ქარხნების დასაცავად მიღებულია ზომები, მაგრამ გაურკვეველი პირები, რომლებიც სამხედრო მოსამსახურეებად ასაღებენ თავს, ხშირად თავს ესხმიან ქარხნებს, იტაცებენ პროდუქციას.

ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა რადიკალური ზომების მიღების აუცილებლობა, რათა მოსახლეობა პურის მინიმალური რაოდენობით მაინც იყოს გარანტირებული. ლაპარაკია პურის ნორმირებულ გაცემაზე. თბილისის, რუსთავის, რესპუბლიკის სხვა ქალაქების პრაქტიკამ დაგვანახა, რომ პურით უზრუნველყოფის საქმეში მარტო ადმინისტრაციული წესებით წესრიგი არ დამყარდება. აუცილებელია ეკონომიკური ბერკეტების ამუშავება. ამჟამად თბილისის პურის ქარხნებსა და თონეებში დღეში 600 ტონა სხვადასხვა ასორტიმენტის პურს აცხობენ. ამ რაოდენობიდან თბილისის მოქალაქეთა პურით გარანტირებული დაკმაყოფილებისთვის, ყოველდღიურად 400 გრამის გათვალისწინებით, საჭიროა დაახლოებით 550 ტონა. დანარჩენი კი, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს, თავისუფალი ვაჭრობის წესით შეიძლება გაიყიდოს, რამაც საგრძნობლად უნდა გააუმჯობესოს პურით ვაჭრობის საქმე.

პურის ასორტიმენტის მიხედვით დაწესებულია განსაზღვრული ფასები, რის შესახებაც ეცნობება მოსახლეობას. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ პირადი გამორჩენის მიზნით მოხდეს ფქვილის ხარისხის აღრევა, თუ სხვა დარღვევები. ამიტომ, აღინიშნა თათბირზე, აუცილებელია დამცავი მექანიზმების შემუშავება და მათი პრაქტიკულად ამოქმედება.

თათბირის მუშაობა შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

— მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ბევრი რამ გაკეთდა, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — მკაცრმა დღევანდელობამ დღის წესრიგში დააყენა დილეტანტიზმის დაძლევის აუცილებლობა, კონკრეტული საქმეების კონკრეტული გადაწყვეტა.

ქალაქის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა გადასაჭრელმა საკითხმა თავი უნდა მოიყაროს ქალაქის მერიაში და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაცია და სამსახური, მათ შორის, პოლიცია, სამხედრო ფორმირებები, ამ კრიზისულ ვითარებაში უნდა დაემორჩილოს და შეუთანხმდეს ქალაქის მერიას. ახლა უმთავრესია პურის ქარხნებში წესრიგის დაცვა. რისთვისაც გამოყენებული იქნება სამხედრო ტექნიკა, გაძლიერდება დაცვა. ყველაფერ ამას კი ერთი პატრონი და კოორდინატორი სჭირდება, რომელიც წარმართავს საქმიანობას.

სახელმწიფოს მეთაურის აზრით, მოხდა დაუშვებელი ფაქტი: პრესაში გამოქვეყნდა დადგენილება პურის საცალო ფასების გადიდებასთან დაკავშირებით მოსახლეობისათვის კომპენსაციის გაცემის შესახებ, მაგრამ საქმე ბოლომდე არ არის მიყვანილი. მინისტრთა კაბინეტმა უნდა მიიღოს მკაცრი ზომები მის მიერვე გამოცხადებული გადაწყვეტილების ბოლომდე განსახორციელებლად.

პურის პრობლემა ხელოვნურად შექმნილი პრობლემაა, — ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა. — სახელმწიფოს აქვს ხორბლის მარაგი, მაგრამ შესაბამისმა უწყებებმა და სამსახურებმა თავი ვერ მოაბეს მარცვლის დანიშნულებისამებრ განაწილებას.

სამწუხაროდ, აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, მრავალ რაიონში, ისევ პირადი გამორჩენის მიზნით, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფქვილით არ ცხვება შესაბამისი რაოდენობის პური. ზოგიერთი რაიონი მთლიანად დააწვა კისერზე დედაქალაქს, და რომ არა მისი მხარდაჭერა, დღეს უფრო მძიმე სიტუაცია იქნებოდა. პურის ფქვილის გაცემაში მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს.

რაც შეეხება პურის თავისუფალ ფასებს, ეს ცხოვრებით ნაკარნახევი აუცილებლობაა, გარდამავალი ეტაპია. შესაძლებელია, რომ 600 ტონა პურიდან, რომელიც თბილისში ცხვება, 10 პროცენტი გაიყიდოს კომერციულ ფასებში, მაგრამ არც ერთი ოჯახი, არც ერთი ადამიანი არ უნდა დარჩეს გარანტირებული ნორმის გარეშე და ამისათვის ყველამ უნდა აგოს პასუხი.

გადასაწყვეტია კონკრეტული, ორგანიზაციული საკითხები, თუ როგორ მოვაგვარდეს უმტკივნეულოდ პურის ნორმირებული გაცემა, — სიით იქნება ეს, ბარათებითა თუ სხვა სისტემით, მაგრამ აუცილებელია ამ საკითხის 20 ნოემბრამდე გადაწყვეტა, მისი ორგანიზაციული მომზადება.

უნდა დამყარდეს უმკაცრესი წესრიგი, რათა მოგვეცეს შესაძლებლობა გადავლახოთ ეს კრიზისული ეტაპი. სხვა გამოსავალი არ არის. უნდა ვიფიქროთ, ვემზადოთ მომავლისათვის, გამოვძებნოთ ახალი შესაძლებლობები. ბევრი საზღვარგარეთული ფირმა დაინტერესებულია, შემოვიდეს საქართველოში, დამკვიდრდეს თავისი ტექნოლოგიით და გამოუშვას პროდუქცია, მაგრამ ამისათვის საჭიროა ცხოვრების ნორმალური პირობები.

ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა თავისი აზრი დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესების გამო.

— ძირითადი ამოცანა, შედარებით ნაკლები მსხვერპლითა და დანაკარგებით, — თქვა მან, — გადაწყვეტილია. ყველა რაიონში შეიქმნა ხელისუფლების ორგანოები. მოსახლეობას მოსწყურდა წესრიგი და ნორმალური ცხოვრება. ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია ის, რომ არის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერა. ხალხმა დაინახა, თავად იწვნია, თუ რას ნიშნავს ექსპრეზიდენტისა და მისი მომხრეების ცხოვრებისა და ხელმძღვანელობის წესი. ისინი ელემენტარული ქურდები, შავი, ბინძური ძალაა, რომელმაც უკიდურეს პირობებამდე მიიყვანა ადამიანები. გაძარცვეს ყველაფერი, რისი გაძარცვაც შეიძლებოდა, გაიტაცეს წითელი ჯვრის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების ჰუმანური დახმარების ტვირთი. არის დანაშაული, რომელსაც მხოლოდ ფსიქიკურად დაავადებულები თუ ჩაიდენენ. მათ, ასე ვთქვათ, სამუშაო ოთახებში ნაპოვნია საბუთები, რომლებიც პირდაპირ ამტკიცებენ, რომ მათ გაყიდეს სოხუმი, რომ სწორედ მათი ღალატის შედეგად დაეცა ქალაქი. მათ აბსოლუტურ სიბნელეში ჰყავდათ ხალხი: არავითარი პრესა, ტელევიზია, არავითარი სალი აზრი, იყო მხოლოდ და მხოლოდ გამსახურდიასა და მისი იდეოლოგების პროპაგანდისტული გამოსვლები და მიტინგები.

თუ ჩვენ დასავლეთ რეგიონებში დაწყებულ საქმეს გააზრებულად მივიყვანთ ბოლომდე, გამსახურდიასა და მისთანების ხელისუფლების სათავეში მოსვლის საკითხი შეიძლება გამორიცხულად ჩაითვალოს. სამწუხაროდ, ვერ ავცდით არასასურველ მოვლენებს — ქურდობას, ყაჩაღობას, მაროდიორობას. მაგრამ იქ, სადაც ხელისუფლებამ პრინციპულად მოჰკიდა ხელი საქმეს, სიტუაცია გამოსწორდა და ვითარება სტაბილიზაციისაკენ მიდის.

ზუგდიდში ახლა იმყოფება პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, რომელიც იქ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და მხარდაჭერაც აქვს. ყველა საშუალება გვაქვს იმისთვის, რომ უმტკივნეულოდ გადაწყდეს მრავალი პრობლემა.

ვიმეორებ, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ, თუ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, საქართველო შეიძლება წელში გაიმართოს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობისათვის ბრძოლა რეალურ პრინციპებზე დაეყრდნობა და მასზე იქნება დამოკიდებული აფხაზეთის პრობლემის მოგვარება, საერთოდ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მომავალი. შავბნელ ძალებს, შინაურ და გარეშე მტრებს ჩაფიქრებული ჰქონდათ, რომ სამეგრელო ბუფერული ზონა გამხდარიყო და ამ ჩანაფიქრს კიდეც ახორციელებდნენ. მაგრამ მათ ვერ განსაზღვრეს, რომ საქართველოს ხელისუფლება შესძლებდა პრობლემის მოგვარებას. საბედნიეროდ, მოსახლეობამ ირწმუნა ხელისუფლებისა, მრავალი პრობლემა ადგილზე გადაწყდა, კერძოდ, კავშირგაბმულობის, რკინიგზის, ჯანმრთელობის დაცვის, მშენებლობის სისტემაში, რისთვისაც ამ დარგების მუშაკები მადლობას იმსახურებენ.

თავისი დადებითი როლი შეასრულა თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის შესვლის გადაწყვეტილებამ. ეს ნაბიჯი რომ არა, შესაძლებელია პრობლემა დროულად ვერ მოგვარებულიყო. მართალია, რუსეთის სამხედრო ნაწილებს არ მიუღიათ მონაწილეობა არც ერთ საბრძოლო ოპერაციაში, მაგრამ ისინი აბსოლუტური ნეიტრალიტეტის პრინციპით იცავენ რკინიგზას, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს. ამან უკვე მოიტანა თავისი შედეგი, კერძოდ, ფოთში, სადაც იდეალური წესრიგი დამყარდა და დაიწყო ნორმალური ცხოვრება.

თანამეგობრობაში შესვლას სერიოზული და დადებითი შედეგები მოჰყვა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში. ამ მხრივ მომავალში ახლებური მიდგომაა საჭირო, კერძოდ, აფხაზეთის პრობლემის გათვალისწინებით.

სასიამოვნო და საამაყოა ის, — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ თბილისი ყოველთვის აძლევდა და დღესაც აძლევს ტონს საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლას. ჩემი ღრმა რწმენით, დღეს თბილისელებმა ახალი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ — ეს არის სამეგრელოს თანადგომა, სამეგრელოს ჭირიობების მოშუშებაში დახმარება. ყველა, ვისაც ხელეწიფება და ვინც საჭიროა, იქ უნდა იყოს, მხარში ამოუდგეს ადგილობრივ მოსახლეობას და პრაქტიკულად დაეხმაროს. სამეგრელომ უმოკლეს დროში უნდა მოიშუშოს იარები და ამისათვის ბრძოლაა საჭირო, მაგრამ არა იარაღით, არამედ კონკრეტული საქმეებით.

ლტოლვილები



სენაკიდან ხობისაკენ.

შახპალად აივაზოვის ფოტო.

ნომერში

⊙ კუპონი დღითი დღე უფასურდება... 2
⊙ რა გზა გვაქვს გავლილი და საით მივდივართ? 3

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნის

განცხადება

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრზე დაყრდნობით გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოსდა საქართველოს საჯარისო ფორმირებებმა მდინარე ენგურზე გამავალ სარკინიგზო ხიდზე ცეცხლი გაუხსნეს აფხაზთა მხარეს, რასაც მოჰყვა მათი საპასუხო მოქმედება.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო აცხადებს, რომ იმხანად სამეგრელოს რეგიონში იმყოფებოდა სახელმწიფოს მეთაური ბატონი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც უშუალოდ მართავდა იქ მიმდინარე პროცესებს. ზუგდიდში დღესაც იმყოფება რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბატონი ოთარ ფაცაცია, რომელსაც სახელმწიფოს მეთაურისგან დავალებული აქვს ამ რეგიონისადმი კონტროლი.

მიღებული ინფორმაციის თანახმად არავითარი შეტაკება მდინარე ენგურზე არ მომხდარა და, თუკი ლაპარაკია რაიმე საბრძოლო მოქმედებაზე, იგი მხოლოდ აფხაზთა და ექსპრეზიდენტის მომხრეთა მიერ მდინარე ენგურზე გამავალი სარკინიგზო ხიდის აფეთქებით გამოიხატა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო კატეგორიულად აცხადებს, რომ აღნიშნული დეზინფორმაცია ის დანაშაულებრივი მოქმედების გაგრძელებაა, რომელსაც ახორციელებს გამსახურდია-არძინბას ალიანსი, საქართველოში მორიგი სისხლისღვრისა და დესტაბილიზაციის გამოსაწვევად.

რაოდენ სამწუხაროა, რომ უკვე მერამდენედ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ოფიციალური სტრუქტურები ავრცელებენ მსგავს პროვოკაციებს, რაც ნამდვილად არ უწყობს ხელს საქართველოში სიტუაციის სტაბილიზაციას და საბოლოოდ მშვიდობის დამყარებას. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესამჩნევი პროგრესი საქართველოში არსებული ვითარების რადიკალური გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

სტაბილიზაციის იმედით

ცხინვალის რეგიონიდან 100-ზე მეტი ლტოლვილი, რომლებიც თავის დროზე ქარელის რაიონმა შეიფარა, დაუბრუნდა წინანდელ საცხოვრებელ ადგილებს ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონში. ეს მოხ და ამ ბოლო ხანს ამ რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის შესამჩნევ გაუმჯობესების წყალობით.

— ქართველებსა და ოსებს, საერთოდ ამ ადგილების მოსახლეობას სურთ ერთად და მშვიდობით იცხოვრონ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს ქარელის რაიონის გამგეობასთა არსებული ლტოლვილთა შტაბის უფროსმა ნუგზარ სიგტურაშვილმა.

— თავის მხრივ, განმარტა მან, — ბევრი ოსი ლტოლვილი, ქარელის რაიონის ყოფილი მცხოვრები, უკვე დაუბრუნდა საკუთარ კერას ჩვენ სოფლებში. მათგან არავინ არ გრძნობს არავითარ შევიწროებას ხე ლისუფალთა თუ ადგილობრივ მცხოვრებთა მხრივ. ასევე ეპყრობია ქართველებს ყორნისის რაიონში. მაგრამ იქ დაბრუნებულ ქართვე ლებს, მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, პერიოდულად უხდებათ ქარელში ჩასვლა ამა თუ იმ პროდუქტის შესაძენად. გვინდა გვჯერო დეს, რომ უახლოეს ხანში ცხინვალის რეგიონში აღარ იქნება საჭირ სამშვიდობო ძალების ყოფნა, რომ იქ ავტომატიან და სამხედროფორ მიან ადამიანებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებ შეცვლიან.

„გრან-პრი" ქართულ ფილმს

უკრაინის დედაქალაქში დასრულდა კიევის ტრადიციული კინოფე ტივალი „ახალგაზრდობა", რომელსაც ორი წლის წინათ მიენიჭა სა ერთაშორისო სტატუსი. ფესტივალის ჟიურის სამსჯავროზე გამოტ ნილი იყო საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის, მათ შორის საფრანგე თის, გერმანიის, ავსტრიის, რუსეთის, აგრეთვე საქართველოს კინო სკოლების წარმომადგენელთა ნამუშევრები. ჩვენი ეროვნული კინემა ტოგრაფი წარმოდგენილი იყო გიორგი მგელაძის მოკლემეტრაჟიან მხატვრული ფილმით „არა, მეგობარო!". ეს საქართველოს შოთა რუ თაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის კინოსაოპერა ტორო განყოფილების დიპლომანტის დებიუტია რეჟისურაში. ფილმმა რომელიც მოგვითხრობს ჩვენი ახალგაზრდა თანამედროვის ცხოვრე ბის რამდენიმე დღის ამბავს, მაყურებლის, დათვალიერების მონაწი ლეთა და სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია თემის არაორდინ რული გადაწყვეტით, გმირის სულიერი სამყაროს წვდომის სიღრმი მთავარი როლის შემსრულებლის ლევან აბაშიძის ბრწყინვალე თ მაშით.

განსაკუთრებით აღინიშნა დამდგმელი რეჟისორის ოსტატობა.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სხვადასხვა ქვეყნ ეკრანის თვალსაჩინო ოსტატები (ეს პატივი წილად ხვდა გოგა ხაი დრავასაც), ფილმი „არა, მეგობარო!" ერთსულოვნად აღიარა დათვ ლიერების საუკეთესო [illegible]რად. მას მიენიჭა „გრან-პრი". სპეცი ლური პრიზი „საუკეთესო სამსახიობო როლისათვის" კი წილად ხვ ლევან აბაშიძეს (სიკვდილის შემდეგ).

„არა, მეგობარო!" მიიწვიეს საზღვარგარეთის 12 ქვეყნის, მათ შ რის გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ჩეხეთისა და სლოვაკეთ კინოდათვალიერებებზე.

კონფედერაციის შტაბ-ბინა სოხუმში გადმოიტანეს

სოჭი, 10 ნოემბერი. (იტარ-ტასი-საქინფორმი). როგორც დღეს გ ზეთი „სევერნი კავკაზი" იუწყება, ამიერიდან კავკასიის ხალხთა კო ფედერაციის შტაბ-ბინა აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში განლაგდებ

კარიკატურისტის თვალით



მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

აქ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ჩვენი ადამიანის საკეთილდღეოდ

კომპენსაცია, დახმარებები

ამას წინათ „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" და „პურის საცალო ფასის მოსალოდნელ გადიდებასთან დაკავშირებით მოსახლეობისათვის კომპენსაციის მიცემის შესახებ", რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილებები, რომელთა თაობაზე განმარტება ვთხოვეთ რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს **გიორგი კალანდაძეს.**

— 1993 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე (თანამდებობრივი სარგოები, განაკვეთები და სხვა) უნდა იყოს თვეში 23000 კუპონი. ამაში კი დანამატები, წანამატები, პრემიები და სხვა წამახალისებელი გასაცემლები არ არის გათვალისწინებული.

ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, თავდაცვის, სამართალდამცავ და ადმინისტრაციულ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მუშაკთა თანამდებობრივი სარგოები, სტიპენდიები, დახმარებები, შემწეობები, დანამატები, წანამატები, არამომუშავე პენსიონერთა პენსიები და სხვა გასაცემლები, მუშაკთა შრომის საათობრივი განაკვეთები სასწავლო მეცადინეობის ჩატარებისათვის 150 პროცენტით გადიდდა.

დაწესდა, რომ მუშა-მოსამსახურეთა და გადასახადით (დაბეგვრის მხრივ) მათთან გათანაბრებულ მოქალაქეთა ხელფასი და სხვა შემოსავლები პურის კომპენსაციის ჩათვლით (30000 კუპონი), რაც მიღებულია მათ ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება.

ამასთან გადაწყდა, რომ პურის საცალო ფასის მოსალოდნელ გადიდებასთან დაკავშირებით, კომპენსაცია მოსახლეობაზე წლეულს ნოემბერში სულზე 3400 კუპონი გაიცეს, ხოლო დეკემბერში 6800.

ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, თავდაცვის, სამართალდამცველ და ადმინისტრაციულ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში დასაქმებულ ძირითად (გარდა შეთავსებლებისა) მუშაკთა თანამდებობრივი სარგოები, რომელიც ძალაშია 1993 წლის 1 ნოემბრიდან, ნოემბერში — 3400 კუპონით გადიდდა, ხოლო დეკემბერში 6800, ამავე ოდენობით გადიდდა 1993 წლის 1 ნოემბრიდან მოქმედი სტიპენდიები, დახმარებები, შემწეობები, არამომუშავე პენსიონერთა პენსიები და სხვა სახის გასაცემლები.

სამეურნეო ანგარიშზე არსებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში (საკუთრების ფორმის მიუხედავად) დასაქმებულ თითოეულ მუშაკზე და კოლმეურნეზე პურის გაძვირებასთან დაკავშირებით აღნიშნული კომპენსაცია 1993 წლის ნოემბერში 3400 კუპონის, დეკემბერში 6800 კუპონის ოდენობით გაიცემა, მოგებისა და შესაბამისად მოგებიდან ბიუჯეტში გადასახდელების შემცირების ხარჯზე.

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ადამიანის საკეთილდღეოდ

კომპენსაცია, დახმარებები

(დასასრული)

— რომლებსაც არ აქვთ მოგება და მოგებიდან ბიუჯეტში გადასახადი? ან საკმარისი სახსრები ნოემბერ-დეკემბერში საკომპენსაციო თანხების გასაცემად?

— შესაბამის საფინანსო ორგანოებში (საწარმოს თუ ორგანიზაციის ადგილმდებარეობის მიხედვით) წარადგენენ სათანადო გაანგარიშებით განცხადებას, რომლის შემოწმების შემდეგ საფინანსო განყოფილების (სამმართველოს) უფროსის ხელმოწერით სათანადო დოკუმენტები საკომპენსაციო თანხების გასაცემად წარედგინება მომსახურე საბანკო დაწესებულებებს. იგი გასცემს საჭირო თანხებს და ხარჯებს მიაკუთვნებს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს.

კომპენსაცია უნდა გაიცეს თვეში ერთხელ, არაუგვიანეს თვის 15 რიცხვისა.

დავაკონკრეტებ: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა კატეგორიის არამომუშავე პენსიონერის, მათ შორის მოხუცებულობით პენსიონერთა, I და II ჯგუფის ინვალიდთა, 16 წლამდე ინვალიდ ბავშვთა სოციალური პენსიები, წელთა ნამსახურებისა და პერსონალური, პენსიები მარჩენალის დაკარგვის გამო, ყველა სახის III ჯგუფის ინვალიდებისა და სოციალური პენსიები, 150 პროცენტით გადიდდა, ამას კი დაემატა პურის კომპენსაცია: ნოემბერში 3400 კუპონი, ხოლო დეკემბერში 6800.

— ბავშვიანი ოჯახებისთვის რა ოდენობის დახმარებები დაწესდა?

— ბავშვის დაბადებისას ერთდროული დახმარება 30000 კუპონი, ხოლო 1,5 წლამდე ბავშვის მოვლისათვის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით;

1,5-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისათვის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 40 პროცენტი.

მარტოხელა დედების და იმ ბავშვებისათვის, ვისაც ალიმენტის ურჩი გადამხდელი მშობელი ჰყავთ, ყოველთვიურად მინიმალური ხელფასის 40 პროცენტი დახმარება გაიცემა.

6-დან 18 წლამდე ასაკის დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლების (საღამოს სწავლების) მოსწავლეებისათვის, აგრეთვე 6-დან 18 წლის ასაკის ბავშვებისათვის, რომლებიც არ სწავლობენ (არ მუშაობენ) და არ იღებენ პენსიებს და სხვა სახის სოციალურ გასაცემლებს, ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 25 პროცენტი ეკუთვნით.

აღნიშნულ დახმარებებს დაემატება პურის კომპენსაცია ნოემბერში 3400 კუპონი; ხოლო დეკემბერში 6800 და გაიცემა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის და რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებიდან.

6 წლამდე ასაკის ბავშვების ყოველთვიური დახმარებები გაიცემა ბავშვის დედაზე მის ძირითად სამუშაო (სწავლის) ადგილზე, ხოლო თუ დედა არ მუშაობს (არ სწავლობს) — მიიღებს მამა (მშობლის შემცვლელი პირი) იგივე წესით. თუ ბავშვის არც ერთი მშობელი (მშობლის შემცვლელი პირი) არ მუშაობს (არ სწავლობს), დახმარება გაიცემა სოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ მშობლის (მშობლის შემცვლელი პირის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

6-დან 18 წლამდე ასაკის დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლების (საღამოს სწავლების) მოსწავლეებისა და ბავშვების, რომლებიც არ სწავლობენ (არ მუშაობენ) და არ იღებენ პენსიებს და სხვა სოციალურ გასაცემლებს, ყოველთვიური დახმარებები გაიცემა მოსწავლის (ბავშვის) მამაზე მის ძირითად სამუშაო ადგილზე, ხოლო თუ მამა არ მუშაობს — მიიღებს დედა იგივე წესით. თუ მოსწავლის (ბავშვის) არც ერთი მშობელი (მშობლის შემცვლელი პირი) არ მუშაობს, დახმარება გაიცემა სოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ მშობლის (მშობლის შემცვლელი პირის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

— ბატონო გიორგი, თუ 18 წლამდე ასაკის ბავშვის ორივე მშობელი, ან ერთ-ერთი სწავლობს ფასიან სასწავლებელში, ხოლო მეორე არ მუშაობს?

— დახმარებას მიიღებს ბავშვის დედა სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

— ვინ მიიღებს ბავშვის დაბადებისას ერთდროულ დახმარებას?

— დედა, სამუშაო ადგილის მიხედვით, ხოლო თუ დედა არ მუშაობს, მიიღებს მამა, თუ არც ერთი არ მუშაობს, გასცემს სოცუზრუნველყოფის განყოფილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

— ყოველთვიური დახმარება — მინიმალური ხელფასის 25 პროცენტი, პურის კომპენსაცია წლეულს, ნოემბერში — 3400 კუპონი, ხოლო დეკემბერში — 6800 კუპონი, მოსახლეობის კიდევ რომელ კატეგორიას დაუწესდა?

— მოგახსენებთ: სახელმწიფო უმაღლესი, საშუალო სპეციალური, პროფტექნიკური განათლების და ფასიანი სასწავლებლების სტუდენტებს (მოსწავლეებს) ასაკის მიუხედავად, თუ ისინი არ იღებენ სტიპენდიებს, ხელფასებს, პენსიებს, და სხვა სოციალურ გასაცემლებს; დიასახლისებს; დედებს, რომლებიც არსებული წესის შესაბამისად ბავშვის მოვლისათვის შვებულებაში იმყოფებიან; უმუშევრის სტატუსის არმქონე პირებს, რომლებიც აღრიცხვაზე არიან შრომითი მოწყობის ორგანოებში და არ იღებენ კანონით დადგენილ სხვა დახმარებებს (შემწეობებს).

ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებისათვის (უმუშევრის სტატუსის არმქონე პირების გარდა) ყოველთვიური დახმარებები და კომპენსაციები გაიცემა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან, ხარჯების შემდგომი ანაზღაურებით შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

სახელმწიფო უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფსასწავლებლების სტუდენტები (მოსწავლეები), რომლებიც არ იღებენ სტიპენდიას, ხელფასებს, პენსიებს და სხვა სოციალურ გასაცემლებს, ყოველთვიურ დახმარებას და კომპენსაციას მიიღებენ უშუალოდ სწავლის ადგილზე.

18 წლამდე ასაკის ფასიანი სასწავლებლების სტუდენტების, მოსწავლეების დახმარებებს მიიღებენ მამები, ხოლო 18 წლის ასაკს გადაცილებული ფასიანი სასწავლებლების სტუდენტები (მოსწავლეები), რომლებიც არ იღებენ სტიპენდიებს, ხელფასებს, პენსიებს და სხვა სოციალურ გასაცემლებს, აგრეთვე დიასახლისები, ყოველთვიურ დახმარებას და კომპენსაციებს მიიღებენ სოცუზრუნველყოფის განყოფილებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დედები, რომლებიც არსებული წესის შესაბამისად ბავშვის მოვლისათვის იმყოფებიან შვებულებაში, ყოველთვიურ დახმარებას და კომპენსაციას მიიღებენ ძირითად სამუშაო (სწავლის) ადგილზე.

უმუშევრის სტატუსის არმქონე პირები, რომლებიც აღრიცხვაზე შრომითი მოწყობის ორგანოებში იმყოფებიან და არ იღებენ კანონით დადგენილ დახმარებებს (შემწეობებს), ყოველთვიურ დახმარებას და კომპენსაციას მიიღებენ შრომის ბირჟებზე დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან, ამ ხარჯების შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტებიდან შემდგომი ანაზღაურებით.

— რა ოდენობით განისაზღვრა სტუდენტებისა და მოსწავლეების სტიპენდიები შრომის ანაზღაურების მინიმალური ხელფასის დონის მიმართ?

— სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ფრიადოსანი სტუდენტებისათვის — 80 პროცენტი: მხოლოდ კარგი, ან კარგი და ფრიადი შეფასებების მქონე სტუდენტებისათვის — 75, აკადემიური მოსწრების მქონე დანარჩენი სტუდენტებისათვის — 70-65-60 პროცენტი. ხოლო სახელმწიფო პროფსასწავლებლებში ფრიადოსანი მოსწავლეებისათვის — 60 პროცენტი, დანარჩენი კატეგორიის აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის — 50. ამასთან ერთად მიიღებენ პურის კომპენსაციას ნოემბერში და დეკემბერში შესაბამისად იგივეს — 3400, 6800 კუპონს.

სახელობითი სტიპენდიების მქონე დანარჩენი კატეგორიის სტუდენტთა, სპორტსმენთა და ასპირანტთა სტიპენდიები 150 პროცენტით გადიდდა და პურის კომპენსაციაც ნოემბერ-დეკემბერში იგივეა (3400, 6800).

დოქტორანტებს სახელმწიფო სტიპენდია ეძლევათ დოქტორანტურაში ჩარიცხვამდე დანიშნული თანამდებობრივი სარგოს (განაკვეთის) ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს უფროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობრივი განაკვეთისა (სარგოს).

— ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფოს კმაყოფაზე (არ სარგებლობენ უფასო ბინით და კვებით), ეძლევათ დახმარება?

— რა თქმა უნდა, — მინიმალური ხელფასის ოდენობით — 23000 კუპონი და ყველასთვის დაწესებული პურის კომპენსაცია: ნოემბერში — 3400 კუპონი, დეკემბერში — 6800. მათ კი, ვინც სახელმწიფოს კმაყოფაზეა (სარგებლობს უფასო ბინით და კვებით) ეძლევა დახმარება მინიმალური ხელფასის ერთი მესამედის (7670 კუპონი) ოდენობით, ისინი, რომლებიც იღებენ ფულად დახმარებას, — სტიპენდიები, ან კანონით გათვალისწინებული სხვა დახმარებები არ ეძლევათ.

— იმათ, ვინც მოხუცებულობით იღებენ პენსიას, მინიჭებული აქვთ ლტოლვილის სტატუსი და არ იმყოფებიან სახელმწიფოს კმაყოფაზე (არ სარგებლობენ უფასო ბინით და კვებით)?

— პენსია სრული ოდენობით მიეცემათ. დახმარება კი მინიმალური ხელფასის 20 პროცენტის (4600 კუპონის) ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იმყოფებიან სახელმწიფოს კმაყოფაზე (სარგებლობენ უფასო ბინით და კვებით), მიეცემათ მხოლოდ პენსია სრული ოდენობით.

ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს დახმარებასა და კომპენსაციებს მისცემენ საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტში.

— უმუშევრის სტატუსის მქონე პირებისათვის თუ დაწესდა შემწეობები?

— პირველი 3 თვის განმავლობაში მინიმალური ხელფასის 80 პროცენტი; მეოთხედან მეექვსე თვის ჩათვლით — 70 პროცენტი, მეშვიდედან მეცხრე თვის ჩათვლით — 60 პროცენტი, მეათედან მეთორმეტე თვის ჩათვლით — 50 პროცენტი.

— ხომ არიან უმუშევრის სტატუსის მქონენი, რომლებიც პირველად ეძებენ სამუშაოს (უმაღლესი ან საშუალო, საშუალო სპეციალური და პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები და სხვა), შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულები, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთისა და იძულებით მკურნალობის ადგილებიდან გათავისუფლებულნი?

— მათთვის შემწეობის ოდენობა განსაზღვრულია უმუშევრის სტატუსის მოქმედების პირველი 6 თვის განმავლობაში მინიმალური ხელფასის 60 პროცენტი, ხოლო დანარჩენი 6 თვის მანძილზე 50 პროცენტის ოდენობით;

უმუშევრის სტატუსის მქონე პირებზე პურის კომპენსაცია გაიცემა იგივე, ნოემბერში — 3400 კუპონი, დეკემბერში — 6800, დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან, შემდგომში საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ანაზღაურებით;

— თუ პიროვნებას აქვს სხვადასხვა სახის შემოსავალი, რომელს დაემატება საკომპენსაციო თანხა?

— მხოლოდ ძირითადი სახის შემოსავალს (ძირითად თანამდებობრივ განაკვეთს, სარგოს, საათობრივ ანაზღაურებას, პენსიას, დახმარებას, სტიპენდიას და ა. შ.).

საკომპენსაციო თანხები გათვალისწინებულია დაუბეგრავ მინიმუმში, ამასთან, მათ არ ერიცხებათ სოციალური დაზღვევის თანხები.

— როგორ ანაზღაურდება კუთვნილი შვებულება?

— ახალი თანამდებობრივი სარგოებით კომპენსაციის გათვალისწინებით.

— ბატონო გიორგი, რამდენადაც ვიცი, სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, სამეურნეოანგარიშიანი საწარმოები და ორგანიზაციები შრომის ანაზღაურების ფორმებს, სისტემებსა და ოდენობას, აგრეთვე შემოსავლების სხვა სახეობას განსაზღვრავენ დამოუკიდებლად, შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის გათვალისწინებით. იზღუდება თუ არა შრომის ანაზღაურების მაქსიმალური დონე?

— არა.

— გლეხურ მეურნეობებში დასაქმებულ პირებს ვინ მისცემს პურის კომპენსაციას?

— კომპენსაციას გასცემენ მეურნეობები საკუთარი სახსრებიდან.

სოფლად მცხოვრები ის პირები კი, რომლებსაც „საქართველოს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის დადგენილებით კერძო საკუთრებაში ერიცხებათ მიწის ნაკვეთი, ჩაითვლებიან არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულებად და მათზე დახმარებები არ გაიცემა.

— თუ არის დახმარება დაკრძალვაზე?

— რა თქმა უნდა, 50 000 კუპონი.

როგორც ბ-ნმა გიორგიმ თქვა, ხელფასების, სტიპენდიების, პენსიებისა და დახმარებების დადგენილ ვადაში შეუფერხებლივ გაცემისათვის დაწესდება კონტროლი..

ესაუბრა
რუსუდან ლორთქიფანიძე.

კუპონის, მანეთის და... იქნებ ბუშმელის

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ვაჭრობის, მომარაგებისა და მომსახურების განყოფილების გამგის მოადგილეს, რესპუბლიკის დამსახურებულ ეკონომისტს ანზორ ბაბუხადიას.

— თქვენი განყოფილების ჭრილიდან როგორ ჩანს ის მიზეზები, რომლებმაც დღევანდელ სტაგნაციამდე მიგვიყვანა?

— პირველი მიზეზი ლოზუნგები და დროის ფასის უგულვებელყოფაა; მეორე — არაკომპეტენტურობა და საქმისადმი ისეთი დამოკიდებულება, ანდაზა რომ არის „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პოსტკომუნისტურ პერიოდში, ვერც საქართველოში, ვერც ყოფილი სსრკ სხვა რესპუბლიკებში ვერა და ვერ დავძლიეთ ლოზუნგებით ქვეყნის მართვის ინერცია. ასეთ გარემოში ეკონომიკის სერიოზულ რეფორმებზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

დრო ხომ ისე იფლანგება, როგორც მილიარდები — ეროვნული ბანკიდან.

გახსოვთ, რამდენი დრო დაკარგა პარლამენტმა მარტო იმაზე, თუ რა ეწოდოს დღევანდელ სპორტის დეპარტამენტს (ვითომ, ამას ასეთი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა), რამდენი კვირა დახარჯა პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის განხილვაზე (შეიცვალა რამე?) და ასე შემდეგ... პარლამენტის სხდომების ტელეტრანსლაცია, ქვეყნის მოსახლეობის სამუშაო დროის უპრეცედენტო დაკარგვად მიმაჩნია (ელექტროენერგიისა და სხვა ხარჯების შესახებ ჩემზე კომპეტენტურნი იტყვიან).

— ვაკონკრეტებ კითხვას — კუპონის გაუფასურების მიზეზების შესახებ გეკითხებით.

— გიპასუხებთ. პირველი და უმთავრესი მიზეზი გახლავთ რესპუბლიკაში მიმდინარე ყოვლად გაუმართლებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

— ასეთი პასუხიც ლოზუნგივითაა: იმდენჯერ იმეორებენ ბოლო დროს. იქნებ გაშიფროთ მაინც.

რას ფიქრობენ მინისტრთა კაბინეტის აპარატში

— ძნელი საქმეა, რადგან არ ვიცი, საიდან დავიწყო და რომელი ერთი ჩამოვთვალო. პირდაპირ გეტყვით, რომ კუპონის დღევანდელ მდგომარეობაში ჩავარდნა გეგმაზომიერად ხდებოდა და დღესაც ხდება ეგრეთწოდებული თანამედროვე საბაზრო სტრუქტურების მიერ. ვინც ოდნავ მაინც იცნობს ბირჟების საქმიანობას, მას მეტი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. ბირჟების შესახებ დღეს არავინ არაფერს ამბობს, მაგრამ დადგება დრო და იტყვიან. მეშინია, რომ გვიანი იქნეს. უკვე არის დაგვიანებული. არ ვიცი, ვის აძლევს ხელს ეს დუმილი.

სახელმწიფოსთვის სამარცხვინო დონეზე დგას ეგრეთ წოდებული ფულის გადახურდავების მექანიზმი. ალბათ, ესეც ხელს აძლევს ვინმეს. ამ უმნიშვნელოვანესი საქმის თვითდინებაზე მიშვება ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია.

იმედი ვიქონიოთ, რომ კომპეტენტური ადამიანები დაინტერესდებიან „ფულით ფულის შოვნისა“ და საბანკო დაწესებულებების ხელშეწყობით ჩატარებული უსაქონლო ოპერაციების მექანიზმით. მაშინ ბევრ მაქინაციას აეხდება ფარდა. ვიცით, მაგალითად, 1993 წლის მანძილზე რამდენი ბენზინი ან შავი ლითონია ასეთი წესით რეალიზებული რესპუბლიკაში? გამოქვეყნდება ეს ციფრები და ყველაფერი გაირკვევა.

კახეთის ზონაში 100 მილიარდზე მეტი ნაღდი კუპონის ერთბაშად „შეშვებამ“ ხელოვნურად დასცა მისი ფასი. შრომით მიღებული გასამრჯელოს დასასაქონლებლად სახელმწიფოს არაფერი გააჩნდა და ამიტომ კუპონების ასეთი მასა ერთბაშად მოხვდა ბირჟებზე, აქ კი ოპერატიულად ამუშავდა აპრობირებული მექანიზმი. ზოგმა მილიარდები იშოვა, ხალხი კი ერთბაშად გაღატაკდა. ასეთი რამ, ჩანს, ციტრუსების დამზადების კამპანიის დროსაც გამეორდება. შედეგი — ნათელია. კიდევ უფრო დაეცემა კუპონის ღირებულება, კიდევ უფრო გაღატაკდება ხალხი.

რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს „ჩვენებურ პრივატიზაციას“? ქვეყნის ეკონომიკისთვის ძირის გამოთხრაა, როცა ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ჩალის ფასად იყიდება. ამ გზით მიღებული შემოსავალი გავყოთ გაყიდული ობიექტების რაოდენობაზე და დავრწმუნდებით, რომ ერთი ობიექტის საშუალო ღირებულება არ აღემატება ნახევარი კილოგრამი ხორცის ფასს. ასე ღატაკდება ქვეყანა. ვიღაც-ვიღაცეები კი მულტიმილიონერები გახდნენ. ასე მუშაობს პრინციპი —„სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო“.

არაკომპეტენტურობის შედეგიცაა ყველაფერი ეს, იმისი, როცა პიროვნებას, რომელსაც მუშაობის ელემენტარული პრაქტიკული გამოცდილება არ გააჩნია, ერთი კაცისთვისაც არ უხელმძღვანელია, მთელი დარგის წარმართვას რომ დაავალებენ.

— შევცვალოთ თემა. თანამეგობრობაში საქართველოს შესვლა-არშესვლის საკითხი იმ დარგებისთვის, რომლებსაც თქვენი განყოფილება კურირებს, არ უნდა იყოს განყენებული და ზოგადი...

—თანამეგობრობაში შესვლა პროგრესული ნაბიჯი რომ არ არის, ამას რად უნდა ამდენი აყალმაყალი. მაგრამ ამჟამად სხვა გზა რომ არ არსებობს, ნუთუ ამის გაგება და დანახვა ასე ძნელია?! იქ შესვლით ერის ფიზიკური გადარჩენის იმედი ჩნდება.

რომელ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე შეიძლება საუბარი, როცა მრავალი დაპირების მიუხედავად, ქვეყნის პოლიტიკურ ძალებს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პროგრამაც არ გააჩნიათ. მკრეხელობაა სახელმწიფოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი, როცა მისი არც ერთი მართვის რგოლი, ქარხანა, ფაბრიკა, მეურნეობა არ არის დამოუკიდებელი. დარღვეული კავშირების აღდგენა უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ პირველ რიგში ეკონომიკა გაძლიერდეს და დამოუკიდებელი გახდეს. შემდეგ სახელმწიფომ უნდა იღვაწოს საბოლოო მიზნისათვის.

აქვს კი აზრი ისეთ დამოუკიდებლობას, როცა „დედაენით“, კალმისტრით, ფანქრით ვერ უზრუნველვყოფთ მოსწავლეებს? როცა ჩვენი თანამოქალაქენი ნაგავსაყრელებში ეძებენ თავის გამოკვების საშუალებას? როცა უტრანსპორტობის გამო ხალხი სამსახურში ვერ დადის? როცა მინისტრის ერთი თვის ხელფასი კილოგრამ ხორცსაც ვერ გასწვდება? როცა ქრისტიანი კაცი ზეწარში გახვეულს ასაფლავებს მიცვალებულს?

— დაახლოებით იგივე თქვით თქვენ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, რომელზეც პირველად განიხილეს თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის შესვლის საკითხი. მაგრამ იქ საწინააღმდეგო პოზიციაც გამჟღავნდა.

— დიახ, იყო, მაგრამ, ჩემს თვალში, მაგალითად, კიდევ უფრო გაიზარდა ქ-ნ ირინა სარიშვილის ავტორიტეტი, როცა მან არა მარტო საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა, არამედ გადადგა ვიცეპრემიერის თანამდებობიდან. საქმისთვის საშიში ისინი არიან, ვინც ერთდროულად რამდენიმე სკამზე ზის და სიტუაციისდამიხედვით იცვლის პოზიციას. ბევრი რომ არ გავაგრძელო, არც ერთ გუნდს „თამაში არ გამოუვა“, თუ მისი წევრები, კრილოვისა არ იყოს, სხვადასხვა მხარეს დაიწყებენ გაქაჩვას.

— ფასები კი მატულობს...

— და ამის მიზეზი კი ისაა, რომ დღეს, როდესაც კუპონი ერთადერთ საგადასახდელო საშუალებად გამოვაცხადეთ, სახელმწიფო სავაჭრო ობიექტებში რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შეუძლებელი ხდება საქონლის შემოტანა. დასამალი არ არის, რომ არც რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამრეწველო საწარმოები იჩენენ სათანადო დაინტერესებას კუპონისადმი (ობიექტური მიზეზები, რა თქმა უნდა, არსებობს). ამ დროს არასახელმწიფოებრივ სავაჭრო ობიექტებში, ბაზრობებზე, სხვაგან და სხვაგან, ვისაც რით უნდა, იმ ვალუტაზე ვაჭრობს. პრაქტიკულად ანალოგიური მდგომარეობაა სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებებშიც. განსხვავება ისაა, რომ ფასების მაჩვენებელზე კუპონი წერია. აი, მაგალითად, უცხოური წარმოების ავეჯის გარნიტურის ფასი აწერია 70-80 მილიონი კუპონი. ვისა აქვს ასეთი ოდენობის ნაღდი თანხა? — პრაქტიკულად არავის, და ამ შემთხვევაში ამოქმედდება ან რუსული ფული, ან აშშ-ს დოლარები. სახელმწიფო ამ შემთხვევაში არავითარ შემოსავალს არ ღებულობს, კუპონი ფაქტობრივად არ ბრუნავს. შედეგად ვიღაცა მდიდრდება, სახელმწიფო ხაზინა — ცარიელდება.

— მაშ, რა ვქნათ?

— ალბათ, უნდა დავაკანონოთ დღევანდელი რეალობა. სავაჭრო ობიექტებს ოფიციალურად მივცეთ უფლება კუპონთან ერთად ივაჭრონ რუსულ მანეთზეც და სხვა ვალუტაზეც. ამ საკითხის უარყოფით მომენტებს, როგორც ეკონომისტი, კარგად ვხედავ, მაგრამ მჯერა, ამას თავისი გარკვეული დადებითი შედეგებიც რომ მოჰყვება. ეს ღონისძიება, როგორც მინიმუმი, ხელს შეუწყობს სავაჭრო ქსელში საქონლის სიუხვეს. სიუხვე მექანიკურად გამოიწვევს საქონლის შედარებით გაიაფებას და, ალბათ, გარკვეულად, კუპონის კურსის განმტკიცებასაც. ვიცი, ეს წინადადება საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოიწვევს, მაგრამ, მოდით, ვიმსჯელოთ სპეციალისტებმა, იქნებ სხვამ უკეთესი გზა შემოგვთავაზოს.

ოღონდ, დროს ნუ დავკარგავთ. კონკრეტულად თუ არ გამოვასწორეთ მდგომარეობა, ძალიან გაჭირდება კარს მომდგარი ზამთრის გადატანა.

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე.

როგორ მივაწოდოთ სასურსათო პროდუქტები მოსახლეობას?

ეს, არცთუ რიტორიკული კითხვა, სულ უფრო აწუხებს რესპუბლიკის, მისი დედაქალაქის მოსახლეობას. მიღებულია გადაწყვეტილება პურპროდუქტების საცალო ფასების გადიდების შესახებ, მუშავდება თბილისში პირველი საჭიროების პროდუქტის ნორმირებული, ესე იგი გარანტირებული განაწილების შემოღების ორგანიზაციული ღონისძიებანი.

მოსახლეობის პურფუნთუშეულით მომარაგების გაუმჯობესების, მარცვლეულის არსებული მარაგის შევსების საკითხები განიხილა რესპუბლიკურმა სასურსათო კომისიამ. კერძოდ, აღინიშნა, რომ უკვე ჩამოვიდა ფქვილით დატვირთული ორი ხომალდი გერმანიიდან, ნოემბრის დამლევს კი ხორბალს ელიან ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

სხდომაზე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საჭიროა გამოყოს ნაღდი ფული მოსახლეობისგან კარტოფილის, ციტრუსოვანთა, სხვა პროდუქტების შესყიდვისათვის.

აქტუალური ინტერვიუ

რევაზ შავიშვილი:

ეს ხალხი ჩვენი ბიჭების სისხლით საზრდოობს



საქართველოს ერთბაშად იმდენი უბედურება დაატყდა, ჟურნალისტმა აღარც კი იცი, ვის მიაკითხო სასაუბროდ, ხვაშიადის გასაზიარებლად, სასიკეთო აზრის მოსასმენად — ვინძლო ეს აზრი დასნეულებულ ქვეყანას მალამოდ მოეცხოს, წაქცეულს ფეხზე წამოაყენოს, მოახულიეროს და გზაზე დააყენოს. სწორედ ამ მიზნით, ვეწვიე რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარეს რევაზ შავიშვილს.

— ბატონო რევაზ, ახლა ქვეყანაში განუკითხაობა უფრო მეტია, ვიდრე კონტროლი და კანონის პატივისცემა. კაცმა იცის, რომ რაც უნდა დააშავოს, არავინ გააკონტროლებს, პასუხს არავინ მოსთხოვს. იქნებ ესეც უბიძგებს საზოგადოებას უფსკრულისკენ?

— გეთანხმებით, დღეს საქართველოში ქაოსია. ქაოსია იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფო, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრიც კი გახდა, პრაქტიკულად არ არსებობს, ამას უამრავი მიზეზი აქვს. მათ შორის, ერთი უმთავრესთაგანია განუწყვეტელი ომი, რომელსაც, აი, უკვე სამი წელიწადია ვეწევით.

რა თქმა უნდა, არსებობს სუბიექტური ფაქტორებიც. სამწუხაროდ, ეს ომი, რამდენადაც მძიმე უნდა იყოს ამის თქმა, მრავალი ადამიანისთვის გამდიდრების წყაროდ იქცა. აქ მე მაინც და მაინც შეიარაღებულ ფორმირებებში მოხვედრილ ზოგიერთ ყაჩაღს კი არ ვგულისხმობ, არამედ უმთავრესად სახელმწიფო სტრუქტურების საკმაოდ მაღალ ეშელონებში მოკალათებულ ვაჟბატონებს, რომელთაც ამ ომის (და არა მარტო ომის) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ევალებათ. ხშირად მეჩვენება, რომ მთელი საქართველო ძარცვა-გლეჯვაზეა გადასული — თითქოს ეს ხალხი ერთი დღით ცხოვრობს და ვიდრე თანამდებობა უკავია, სურს მოასწროს, რაც შეიძლება მეტი წაგლიჯოს ჯარისკაცებს, მოსახლეობას, საერთოდ, ყველას. მე პირდაპირ ვიტყვი, — ეს ხალხი ჩვენი ბიჭების სისხლით საზრდოობს. ისინი სხვისი შვილების სიცოცხლის ხარჯზე საკუთარი შვილების ფუფუნებით ცხოვრებას უზრუნველყოფენ. ჭირს ამ ადამიანების პერსონიფიცირება, შავ საქმეთა კეთებაში უმეტეს შემთხვევაში, ხომ ადამიანთა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფები მონაწილეობენ.

გამოსავალი ერთია — დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ სახელმწიფოს მშენებლობა. საქართველოში გაჩაღებული ტოტალური ძარცვა-გლეჯვა უნდა შეწყდეს.

— ეს მართლაც საშური საქმეა. მაგრამ შეძლებთ მის გადაჭრას, როცა მოსახლეობის პურით მომარაგებაშიც კი წესრიგი ვერ დაგვიმყარებია? ვიცი, ყოველ საღამოს იკრიბება თბილისის მერიასთან შექმნილი შტაბი (მის სხდომას მეც დავსწრებივარ), თათბირობენ, მკაცრად მსჯელობენ გამოვლენილ დარღვევებზე, სახავენ ღონისძიებებს... ქალაქში რიგები კი კლების ნაცვლად მატულობს. მერიაში უნდა იცოდნენ, რომ ხალხს პური უნდა და არა შტაბის გადაწყვეტილებები.

— იმ შტაბის მუშაობაში ქალაქის კონტროლის პალატაც მონაწილეობს, მაგრამ უშედეგოდ: დღისდღეობით შედეგს ალბათ, ვერც მივაღწევთ. კონტროლს უამრავი სხვა კონტროლიც რომ დავუწესოთ, მთელი არმიაც კი რომ ამ საქმეზე დავაყენოთ, მოსახლეობის პურით მომარაგების საკითხი კვლავ გადაუჭრელი დარჩება, და იცით რატომ? მუშაობაში ეკონომიკის კანონებით არ ვხელმძღვანელობთ. ეს კანონი კი გვეუბნება, რომ არ შეიძლება მზა პროდუქცია უფრო იაფი ღირდეს, ვიდრე ნედლეული. თუ ამას დავარღვევთ, ყოველთვის ნედლეული გაიყიდება. რაც არ უნდა გზები გადავკეტოთ, საბაჟოები გავამაგროთ, პურის ქარხნები დავიცვათ, ფქვილს მაინც გაიტანენ, რამეთუ, ფულს მაგიური ძალა აქვს.

ასე რომ, გვინდა თუ არ გვინდა, დღეს თუ არა ხვალ, პურის ფასის განთავისუფლება მაინც მოგვიწევს. ვინაიდან უახლოეს მომავალში მოსახლეობის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის, ფასების ზრდა მოხდება უფრო მძიმე მდგომარეობაში, ვიდრე ეს არის დღეს და ვიდრე იყო გუშინ.

— რატომ არ შეიძლება პურის ნორმირებულ გაცემაზე გადავიდეთ?

— გარკვეულ ეტაპზე ეს შეიძლება გამოსავალი იყოს, მაგრამ ხომ არ აჯობებდა პურის კი არა, ფქვილის ნორმირებულ გაცემაზე გვეფიქრა? რა თქმა უნდა, იმ ფასებში, რა ფასებშიც ახლა პური იყიდება. თუ ფქვილს ორ კვირაში ან თვეში ერთხელ გავცემდით, ეს თავიდან აგვაცილებდა მომაბეზრებელ რიგებში დგომას, დავზოგავდით დროს, ნერვებს, თვით ნედლეულსაც. დიასახლისი მხოლოდ იმდენ პურს გამოაცხობს (ამას ზოგი უკვე აკეთებს), რასაც ოჯახი მოითხოვს პურის ნორმირებული გაცემის დროს კი ყველა შეეცდება თავისი ნორმა მაინც აიღოს (სჭირდება ის თუ არ სჭირდება).

ამის პარალელურად პური უნდა გამოცხვეს ქარხნებშიც და გაიყიდოს თავისუფალ ფასებში. ეს გარდა იმისა, რომ გარკვეულ შედეგს მოგვცემს, ადამიანებს ფსიქოლოგიურადაც მოამზადებს. პურის ფასების მომატება მაინც მოგვიწევს, მაგრამ როცა ხალხის დიდი ნაწილი დაზღვეული იქნება, პირდაპირ ვთქვათ, შიმშილით სიკვდილისგან, იგი ამას უფრო „რბილად“ გადაიტანს. სოფლად, ალბათ, შეიძლება ხორბლის ნორმირებული განაწილებაც, ყოველ შემთხვევაში იქ მაინც, სადაც წისქვილები ჯერ კიდევ არსებობს.

მე არ ვთვლი, რომ მდგომარეობიდან გამოსასვლელად ეს მოსაზრება ერთადერთი და საუკეთესოა. ვგრძნობ, რომ მისი გადაწყვეტისას უამრავი პრობლემა წამოიჭრება, ამიტომ, მას საკითხის დასმის წესით ვაყენებ.

ისე კი, რადგან პურის პრობლემას შევეხეთ, მინდა მოსახლეობამ იცოდეს, რომ მის გადაჭრაში კონტროლის პალატა თავის სიტყვას იტყვის. ყოველ შემთხვევაში იმ თანამდებობის პირთა წრეს მაინც განსაზღვრავს, რომელთა უპასუხისმგებლობამ და ხშირ შემთხვევაში დანაშაულებრივმა მოქმედებამ (ზემოთ ნათქვამთან ერთად) ამ სფეროში სავალალო მდგომარეობა შექმნა. სულ მალე დამთავრდება შემოწმება, რომელიც მოსახლეობის პურით მომარაგების მტკივნეულ საკითხს ეხება და შედეგებიც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება.

— ბატონო რევაზ, დღეს უკვე ღიად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჰუმანური დახმარებით მიღებული პროდუქტები და მედიკამენტები ადრესატამდე ვერ აღწევენ. ამის დასტურად ასახელებენ კერძო აფთიაქებს, რომლებიც სამკურნალწამლო საშუალებებით მუდამ სავსეა, სახელმწიფო ობიექტები კი მუდამ ცარიელი. ნუთუ ასე ძნელია ამ სფეროში მოკალათებულ დამნაშავეთა გამოაშკარავება?

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ძნელია. საკმარისია, ერთი კერძო ჯიხურის შემოწმება დავიწყოთ, რომ ქალაქში ყველა ჯიხური დაკეტილი აღმოჩნდება (ინფორმაცია ელვის სისწრაფით ვრცელდება). თუმცა რა უნდა ვილაპარაკოთ უცხოეთიდან შემოსული დახმარების განაწილების კანონიერებაზე (მისი კონტროლი გაცილებით ძნელია, რადგან საკმაოდ უსისტემოდ შემოდის), როცა მოსახლეობისთვის ნორმირებული პროდუქტების (შაქარი, ზეთი, მარგარინი) განაწილებაშიც წესრიგი ვერ დაგვიმყარებია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს საკითხი შევამოწმეთ და უამრავი დარღვევა აღმოვაჩინეთ. მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებ, რომელიც ყველაფერს ნათელს მოჰფენს. დოკუმენტებით თურმე აფხაზეთის მოსახლეობას წლეულს პირველ ორ კვარტალში 358 ტონა ხორცი, 2416 ტონა შაქარი, 134 ტონა მარგარინი, 292 ტონა ზეთი მიუღია. ეს ქაღალდზე, თორემ პროდუქტები იქაურ მოსახლეობას, მებრძოლებს, თვალითაც არ უნახავთ. თუმცა, სოხუმის და ოჩამჩირის მაღაზიების საბუღალტრო ჩანაწერებში რომ ჩაიხედოთ, ერთ შენიშვნასაც ვერ შეიტანთ (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა), იქ ყველაფერი გასწორებულია. დიახ, „საქსურსათბითუმვაჭრობის“, სოხუმის დამფასოებელი საწარმოს (რომელიც ომის დროს ფოთში იმყოფებოდა), აფხაზეთის ვაჭრობის სამინისტროს, მაღაზიების თანამშრომლებს „სუფთად“ უმუშავიათ, ისე „სუფთად“, რომ კონტროლის პალატაში ანონიმური წერილიც კი არ შემოსულა. როცა დანაშაულში ათასობით ადამიანი მონაწილეობს და არავის არ ჰყოფნის სინდისი ხმა ამოიღოს, ეს უკვე ერის ტრაგედიაა. როგორც ჩანს, ისინი ფიქრობდნენ, რომ ომი ყველაფერს ჩამოწერს. არა, ბატონებო, ომი უზნეობის კვალს ვერ წაშლის, ომს ვერც ასეთი ხერხებით მოვიგებთ.

ამ საკითხის შემოწმება დავამთავრეთ და შედეგების შესახებ მოსახლეობა მალე გაიგებს. უკვე დავიწყეთ ჰუმანური დახმარების განაწილების მასშტაბური შემოწმებაც. ვნახოთ, რა სურათს მოგვცემს. თუმცა ყველაფერს კონტროლის პალატა ვერ გასწვდება, ამ არაკაცურ ქმედებას მთელი საზოგადოება უნდა აღუდგეს.

— უკანასკნელ პერიოდში ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თაობაზე რესპუბლიკის პარლამენტში ფართო დებატები გაიმართა. მერე კომისიაც გამოიყო და ამ საქმის შესწავლა კონტროლის პალატას დაეკისრა. ხომ არ გვეტყოდით, როგორია შემოწმების შედეგები?

— ფრიად სავალალო. ჩვენ ძირითადად ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტების მიზნობრივი გამოყენების საკითხი შევისწავლეთ, რამეთუ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აცხადებდა — თუ არა ეგრეთწოდებული ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკა, მოსახლეობა შიმშილით დაიხოცებოდაო. არადა, სწორედ ამ პოლიტიკამ დაამშია ადამიანები.

საქმე ის არის, რომ ბანკი, ვითომცდა რესპუბლიკისათვის სტრატეგიული დანიშნულების საკვები პროდუქტების შემოტანის მიზნით, უზარმაზარ კრედიტებს გასცემდა კერძო სტრუქტურებზე. სწორედ ამ მიზნით წლეულს 6 თვეში გაიცა 372 მილიარდი მანეთის საკრედიტო რესურსი. და ეს ხდება იმ დროს, როცა 1992 წლის ოქტომბრიდან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციები შეწყვეტილი იყო, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ეს მილიარდები სხვა რესპუბლიკებში მცირე გამონაკლისის გარდა არ გადაირიცხებოდა. ალბათ, ამიტომაც, ზემოაღნიშნული თანხიდან ჩვენი რესპუბლიკის საკორესპონდენტო ანგარიშზე მხოლოდ 12,4 მილიარდი მანეთი მოხვდა, რუსეთში გადარიცხული 288 მილიარდი მანეთიდან კი — მხოლოდ 1 მილიარდი მანეთი. დანარჩენი თანხა (გარდა 40 მილიარდი მანეთისა, რომელიც კრედიტოავიზოების სახით ხელზე იყო წაღებული და რომელიც არც სხვა რესპუბლიკებში გატარებულა და არც უკან დაბრუნებულა) უნაღდო არხებში მოექცა და რესპუბლიკის შიგნით დაიწყო ბრუნვა. ჩვენმა შემოწმებამ დღეისათვის ამ თანხებიდან 109 მილიარდი მანეთი მოიცვა, რომლის მიზნობრივი გამოყენებაც 19 არასახელმწიფოებრივ სტრუქტურაში შევისწავლეთ (ავირჩიეთ ყველაზე მსხვილი კრედიტები).

და იცით რა გამოირკვა? ამ 109 მილიარდი მანეთიდან მხოლოდ 7,9 მილიარდი მანეთი გადაირიცხა მიზნობრივად — 150 ათასი ტონა ხორბლის შემოსატანად. დანარჩენი, დაახლოებით 61 მილიარდი მანეთი (40 მილიარდზე ზემოთ უკვე ვთქვი) გამოყენებულია რესპუბლიკის შიგნით. აქედან 15 მილიარდი მანეთის პროდუქტი რესპუბლიკიდან გატანილია და არა შემოტანილი. ფაქტობრივად, პირველი ივლისისთვის საქართველოში შემოტანილი იყო მხოლოდ 2 მილიარდ 613 ათასი მანეთის პროდუქტი. ეგ არის და ეგ. დანარჩენი თანხები მთლიანად გამოყენებულია საქართველოს შიგნით არამიზნობრივად — კერძო სტრუქტურების მიერ ადრე მიღებული სესხების დასაფარად, სხვა კომერციული სტრუქტურების საქმიანობის დასაფინანსებლად, კომერციული ბანკების საწესდებო ფონდების ფორმირებისთვის, უცხოური ვალუტის შესაძენად და ასე შემდეგ. შევხვდით ასეთ პარადოქსსაც — ბანკმა კერძო ფირმას მისცა სესხი ადრე აღებული სესხის პროცენტის დასაფარად (ესე იგი, ფული მისცა და ისევ უკან წაართვა), საერთოდ, ჰაერიდან კეთდებოდა ფული და ამ ფულით კვლავ ფული.

— ისინი ჰაერიდან ფულს აკეთებდნენ, ხალხი კი ფაქტობრივად მშიერი დარჩა.

— უბედურებაც ეს არის. ეს დაუსაქონლებელი ფული უზარმაზარ ტვირთად დააწვა ჩვენს ისედაც გაღარიბებულ ბაზარს, გამოიწვია ფასების არნახული ზრდა და შესაბამისად მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კატასტროფული გაღატაკება. გამდიდრდა ადამიანთა მხოლოდ მცირე ჯგუფი (ვისაც კრედიტებზე ხელი მიუწვდებოდა), რა თქმა უნდა, დანარჩენი მოსახლეობის გაძარცვის ხარჯზე.

— ამ მცირე ჯგუფის წარმომადგენლებს ხომ არ დაასახელებდით?

— კონკრეტულ კერძო ფირმათა დანაშაულებრივი მოქმედების გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღძრულია რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას რომ ხელი არ შევუშალოთ, მათი დასახელება, დღეისთვის მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. მით უფრო, რომ ეს სახელები საზოგადოებისთვის არც ისე ბევრისმთქმელია.

— ბატონო რევაზ, როგორც ვიცი, დღეს ბანკები კრედიტს აღარ იძლევიან. თქვენ ეს გამართლებულად მიგაჩნიათ?

— მე არ ვამბობ, რომ ბანკი კრედიტს არ უნდა იძლეოდეს, მაგრამ ის უნდა გაიცეს იმ რეალური საქმის შესასრულებლად, რომლის შესრულების გარანტიებიც არსებობს. ზემოთაც ვთქვი, ეკონომიკას თავისი კანონები აქვს. იქ, სადაც უფრო მომგებიანია უსაქონლო ოპერაცია, საქონელს არავინ შემოიტანს. ჩვენს ეკონომიკას სწორედ ამ კანონების უგულებელყოფა ღუპავს.

— და რაც მთავარია, ადრე დაშვებულ შეცდომებს კვლავაც ვიმეორებთ. აი, ამ დღეებშიც კუპონის კურსი კატასტროფულად დაეცა. რა მოხდა?

— მართალი ბრძანდებით. კუპონი ამჯერად უკვე მესამედ ჩავარდა „ნოკაუტში“. ცხადია, ეს ყველაფერი კავშირშია. შავ ბაზარზე კუპონის დიდი რაოდენობით მოხვედრასთან (უკანასკნელად ეს დაკავშირებული იყო ყურძნის დამზადების კამპანიასთან). ახლა ჩვენ ვსწავლობთ რა ხერხებით მოხვდა ეს ფული შავ ბაზარზე, რამ იმოქმედა ასე ძალუმად კუპონის გაუფასურებაზე, ანუ ერთი კვირის მანძილზე კიდევ უფრო რამ გაალატაკა ჩვენი მოსახლეობა? ამ კითხვას პასუხი აუცილებლად გაეცემა, მაგრამ იგი საუბედუროდ მოსახლეობას მოსახდენისგან ვეღარ გადაარჩენს. ჩვენ შემოწმებას ვიწყებთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსახდენი უკვე მოხდა.

— როგორ შეიძლება ამას თავი დავაღწიოთ?

— უნდა შევქმნათ მექანიზმი, რომელიც მომავალში ასეთ ფაქტებს აღარ დაუშვებს. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გლეხისთვის ყურძნის საფასური მთლიანად კუპონით კი არ უნდა აგვენაზღაურებინა, არამედ გარკვეული თანხის სანაცვლოდ მიგვეცა მისთვის აუცილებელი შხამქიმიკატები, საწვავ-საცხები, მასალები, თესლი და ასე შემდეგ. მაგრამ ამას წინასწარ დიდი ორგანიზაციული სამუშაოების ჩატარება სჭირდებოდა, რასაც მთავრობა ყოველმხრივ მოუმზადებელი შეხვდა. ეს საფრთხე კიდევ გვემუქრება, რადგან წინ გვაქვს ციტრუსების დამზადების მეტად პასუხსაგები პერიოდი.

ერთი სიტყვით, ასეთი კატასტროფული ჩავარდნები რომ არ ხდებოდეს, სახელმწიფო უნდა სახელმწიფოობდეს. სწორედ ასეთ მოვლენებს ვგულისხმობდი, როცა ვამბობდი: ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს სახელმწიფო. ასეთი სახელმწიფოს შექმნისათვის ჩვენ ყველას ხელებდაკაპიწებული მუშაობა გვმართებს.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის აძლევს ხელს „აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს" მონაჩმახი?

9 ნოემბერს იტარ-ტასის არხებით გავრცელდა „აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს" პრესსამსახურის ინფორმაცია, რომელშიც საქართველოს სამთავრობო ჯარებს ადანაშაულებენ „მდინარე ენგურზე გამავალ აფხაზეთის საზღვარზე" ოპერატიული ვითარების მკვეთრ გამწვავებაში. კერძოდ, ამტკიცებენ, რომ წუხელ ქართველთა ჯარების ქვეგანაყოფებმა ავტომატური იარაღის ცეცხლი დაუშინეს „აფხაზეთის რესპუბლიკის" შეიარაღებული ძალების პოზიციებს მდინარე ენგურზე გადებული სარკინიგზო ხიდის მახლობლად. აფხაზთა ქვეგანაყოფებმა კი გახსნეს საპასუხო ცეცხლი. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს სამთავრობო ჯარები თავს უყრიან ცოცხალ ძალასა და ტექნიკას მოპირდაპირე მხარეს, და როგორც ჩანს, ამუშავებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე ახალი შეჭრის გეგმას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ეს ინფორმაცია არ დაგვიდასტურეს. ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ედიშერ ჩარგაზიამ კი განაცხადა, რომ „აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს" ასეთი განცხადება ნაკარნახევია იმით, რომ მათ სურთ შექმნან ხელსაყრელი პროპაგანდისტული ფონი და ისახავენ სულ სხვა პროვოკაციულ მიზნებს.

ვეძებენ გამოსავალს

წინასწარი გამოანგარიშებით, რკინიგზის მაგისტრალებზე აღდგენით სამუშაოებს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში დასჭირდება 200 მილიარდზე მეტი რუსული მანეთი. ეს საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს უთხრა საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსმა რეზო ვაშაკიძემ.

— საკუთარი ძალებით, — აღნიშნა მან, — ჩვენ არ ძალგვიძს სრული მოცულობით შევასრულოთ ყველა საჭირო სამუშაო. თანაც ჩვენი მრეწველობა, თუ არ გავითვალისწინებთ მის უმნიშვნელო ნაწილს, ვერ უშვებს ჩვენთვის საჭირო პროდუქციას, კერძოდ, სამარაგო და მაკომპლექტებელ ნაწილებს, ტექნოლოგიურ მოწყობილობას, მერქნის მასალებს.

— რაც შეეხება ევროპისა და ამერიკის განვითარებული ქვეყნების დახმარებას, — თქვა შემდეგ რ. ვაშაკიძემ, — ამის თაობაზე გულახდილად უნდა ითქვას ალბათ, ვერც ერთი მათგანი ვერ გარისკავს ამჟამად შექმნილ სიტუაციაში დააბანდოს ინვესტიციები საქართველოს რკინიგზის სისტემის განვითარებაში. ვფიქრობ, საქართველოს რკინიგზაზე შექმნილი კრიზისიდან ოპტიმალური გამოსავალია, მისი, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ერთ-ერთი შემადგენელი მაგისტრალის ჩამოყალიბება, თორემ მალე დადგება ის დღე, როცა იძულებული გავხდებით, შევაჩეროთ მუშაობა. დაე, ჩემი ნათქვამი ნუ გამოიწვევს იმათ მძაფრ რეაქციას, ვინც ამის წინააღმდეგია. ევროპის გაერთიანების ქვეყნების რკინიგზათა მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, რომლებიც ერთ მთლიან სისტემას წარმოადგენენ როგორც მატერიალური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით, ეს არჩევანი ყველაზე გამართლებულად მიმაჩნია.

ჩატარდა საერთაშორისო მნიშვნელობის ტენდერი

ამას წინათ საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს სააქტო დარბაზში ჩატარდა საერთაშორისო მნიშვნელობის ტენდერი, რომელიც მიეძღვნა საოპერატორო კომპანიის საუკეთესო უცხოური პარტნიორის შერჩევას. ტენდერში მონაწილეობდნენ მსოფლიოში ცნობილი საოპერატორო კომპანიები. სულ 6 უცხოური კომპანია. ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა კავშირგაბმულობის მინისტრი ბატონი ფრიდონ ინჯია. საქართველოში ასეთი სახის ტენდერის პირველად ჩატარება მან მიიჩნია კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაობის ერთ-ერთ ისტორიულ ფაქტად. ტენდერის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ზურაბ ქერვალიშვილი, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თენგიზ გელეიშვილი, არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე გურამ მირიანაშვილი და სხვები. სიტყვით გამოვიდნენ უცხოურ ფირმათა წარმომადგენლები.

აღსანიშნავი იყო საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს მრჩევლის ბატონ ბრუს ლედლოუს გამოსვლა, რომელიც ამ დარგში საერთაშორისო ბანკის მიერაა რეკომენდებული. მან დამსწრეთ აცნობა, რომ გადაწყდა, მსოფლიო ბანკმა გამოყოს 13 მილიარდი დოლარის კრედიტები სამინისტროს საქმიანობის განვითარებისა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვისათვის, რათა საქართველოს კავშირგაბმულობა შეესატყვისებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

უცხოურ ფირმათა წარმომადგენლებმა უჩვენეს ვიდეომასალები თავიანთი საქმიანობის შესახებ, უპასუხეს ჟურნალისტებს შეკითხვებზე.

გაიმართა ფარული კენჭისყრა, სადაც გაიმარჯვა ავსტრალიის კომპანია „ტელსტრამ". ამდენად შეირჩა საუკეთესო კომპანია, რომელმაც საქართველოს მხარეს აღუთქვა, რომ ისინი იქნებიან სასურველი პარტნიორები და შექმნიან დღევანდელი ცივილიზებული სამყაროსათვის შესატყვის ერთიან ტექნიკურ ბაზას.

მზია ნარმანია,
კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი.

ჩემი პოზიცია

რა გზა გვაქვს გავლილი და საით მივდივართ?

ჩანს, არავინ დაფიქრებულა, რამდენად ტრაგიკომიკურია ეს ფაქტი (კომიკური უცხოელის თვალისთვის და ტრაგიკული — ჩვენი ეროვნული მოძრაობის თვალსაზრისით) და რა ფსიქოლოგიური ფაქტორი მოქმედებს აქ. რაც უფრო მეტია პარტიების რიცხვი, იმდენად მეტია — ლიდერთა „ვაკანსიები". ალბათ ამითაა გამოწვეული, რომ პარტიების ინტეგრაცია კი არ ხდება ჩვენში, არამედ დიფერენციაცია, პარტიათა რაოდენობის მხრივ დასავლეთის მოწინავე ქვეყნებს შორის იტალია გამოირჩევა და იქაც კი, 57-მილიონიან ქვეყანაში, ცოტა ხნის წინათ ჩატარებულ არჩევნებში 16 პარტია ღებულობდა მონაწილეობას, ჩვენს 5-მილიონიან რესპუბლიკაში — 48 ბლოკი.

ერის გათიშვას ხელს უწყობდა (მარქსიზმ-ლენინიზმის) თავისი, „დასაბუთებული" კლასთა ბრძოლის თეორიით, რომლის უნიადაგობაზე ჯერ კიდევ ილია წერდა. პარტიათა „ასტრონომიულ" რაოდენობას ხელს უწყობს, სამწუხაროდ, დემოკრატია და განსაკუთრებით მისი ის ფორმა, რომელიც ჩვენს სინამდვილეში მიიღო.

დემოკრატია, რა თქმა უნდა, პროგრესული და მთელს მოწინავე სახელმწიფოებში აღიარებული წყობაა, რომელიც ცალკეული ქვეყნების სახელმწიფოებრივი შეფასების საზომად იქცა, მაგრამ არსებობს იდეათა მიმოქცევის კანონზომიერება, რომლის დარღვევა საკმაოდ მძიმე შედეგებს იწვევს (თუმცა ამგვარ დარღვევას ხშირად აქვს ადგილი).

ყოველი ახალი, პროგრესული იდეა, როგორც წესი, დაწინაურებულ ცივილიზებულ ქვეყანაში წარმოიქმნება და პერსპექტიული იმ გარემოშია, სადაც აღმოცენდა. მაგრამ როდესაც ის ეკონომიურად, პოლიტიკურად უფრო დაბალ ნიადაგში ჩაითესლება, მისი განვითარება მძიმე და ხშირად არასასურველ ფორმას ღებულობს. დემოკრატიის წარმატების აუცილებელი პირობა შესაფერის პოლიტიკურ დონეს და საკმარის ტრადიციებს მოითხოვს.

დემოკრატია ჩვენში პირველად 1918-1921 წ. წ.-ში შეიქმნა, მაგრამ 3 წელიც ვერ იარსება და ისეთი „ძალით" ჩაიხშო, რომ განვითარების პირობები ძალიან დიდი ხნით მოეკვეთა. ამ გარემოებას არ შეიძლებოდა თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა, როგორც ჩვენში 2 წლის წინათ ჩატარებულ არჩევნებზე, ასევე დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობაზე, რომელიც იმდენად შორსაა სასურველი დონისაგან, რომ ტელევიზიით ყურების დროს, უხერხულობის გრძნობასაც კი იწვევს.

დემოკრატიაზე ლაპარაკი, მხოლოდ პირობითად შეიძლება, სამაგიეროდ ჩვენში ისეთი მოვლენები „იფურჩქნება", რომლებიც მხოლოდ ართულებს და ამწვავებს პოლიტიკურ მდგომარეობას.

ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას, არც ერთი „ფეოდალიზმის გადმონაშთი" არ აკლია. მათ შორის არც „ორგულობა თვისთა უფალთა მიმართ", არც ყველაზე სამწუხარო და ომიანობის დროს შემზარავი მოვლენა ღალატი, რომლის მოწმენიც ჩვენ ახლო წარსულში ვიყავით.

ერთხელაც გავიხსენოთ ჩვენი ისტორიკოსის სიტყვები „გემოთმოყვარეობასა, ვერცხლის-მოყვარეობასა და დიდების-მოყვარეობაზე", როგორც მრავალ მანკიერებათა მიზეზზე — მათ შორის ბოროტებებს შემწყნარებლობისა და ამპარტავნობისა. ეს მოვლენები ისეა გავრცელებული ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში, იმდენად ზნეობრივად მახინჯი ფორმები მიიღო და იმდენია დაწერილი ამაზე, რომ აქაც შეიძლება სიტყვა აღარ გაგრძელდეს.

ამგვარად, მოკლედ, ჩვენში არსებული მძიმე, რთული და კრიზისული, აგერ უკვე 14 საუკუნის შემდეგი მდგომარეობა, რომელმაც აიეტის პრობლემა წამოჭრა და ალტერნატივა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლით გადაწყდა.

ამ ორგანიზაციაში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს რუსეთი წარმოადგენს და მასში ჩვენი რესპუბლიკის შესვლამ ახალი ვნებათაღელვა, სხვადასხვა შეხედულებათა გააქტიურება გამოიწვია.

6.

უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც საქართველო სამი „ვეშაპის" — სპარსეთის, ოსმალეთის და რუსეთის გარემოცვაში იმყოფება და ჩვენი საგარეო ვითარება ძირითადად ამ სამი ქვეყნით განისაზღვრება. დღევანდელ პირობებში სპარსეთის და ოსმალეთის მხრივ სიწყნარეა; საგარეო პოლიტიკის საგანს რუსეთი წარმოადგენს და საკითხი საკმაოდ მწვავე ხასიათს ღებულობს. ეს სიმწვავე იმითაა გამოწვეული, რომ ოსმალეთ-სპარსეთთან ადრე არსებული ურთიერთობანი და მძიმე და სამწუხარო მოვლენები, საკმაოდ დიდი ხნის წარსულს ეკუთვნის და მხოლოდ საისტორიო წყაროებით არის ცნობილი.

რაც შეეხება რუსეთს და ჩვენი ქვეყნის რუსეთის იმპერიაში ყოფნით გამოწვეულ გამოცდილებას (სულ ერთია, ეს იმპერია ცარისტული იყო, თუ ბოლშევიკური), ის ჯერ კიდევ უშუალო განცდის საგანია. ამით აიხსნება ჩვენი ყოფილი პრეზიდენტის თავშეუკავებელი წამოძახილები უზენაეს საბჭოში — „რუსეთი ჩვენი მტერია და მხოლოდ მტერი" (იხ. ჩვენი „ვცდილობ დავრჩე ოპტიმისტად", გაზ. „დროში", 25. X. 91) და შემდეგ დეპუტატების განცხადებები პარლამენტში, რომლებშიც რუსეთის ფიზიოლოგიური სიძულვილი გამოსჭვივის და რომლებიც არასერიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს პოლიტიკური გონიერების თვალსაზრისით. ამ ფორმით გამოხატული ანტირუსული განწყობილებანი მხოლოდ ართულებს და ამწვავებს ნორმალურ ურთიერთობას ამ ძლიერ მეზობელთან.

მაგრამ ეს მიუღებელია არსებითადაც.

რუსეთთან შეერთება XVIII ს.-ის ბოლოს ჩვენთვის უმცირესი ბოროტება იყო და „რუსულ ხიშტებთან" ერთად ბევრი სიკეთეც მოიტანა. მრავალი საუკუნის განმავლობაში ომებით გაწამებულმა, ეკონომიურად გაჩანაგებულმა და კულტურული განვითარების მხრივ საშიშროების წინაშე მდგომმა ერმა მოიპოვა სიმშვიდე და მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ეკონომიური მდგომარეობისა. ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ბათუმისა და აჭარის შემოერთება 1777—1778 წლებში და მისი უდიდესი მნიშვნელობა მთლიანობის აღდგენისათვის.

ეს კარგად ესმოდათ იმ ქართველებს, რომლებიც მოხალისეებად იღებდნენ მონაწილეობას ამ ომში.

ილია ჭავჭავაძეს და მის თანამებრძოლებს, რომლებიც შეუდარებლად უფრო დიდი პატრიოტები იყვნენ, ვიდრე დღევანდელი ცალკეული რუსოფობები, ძალიან კარგად ესმოდათ რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები, მაგრამ არ ავიწყდებოდათ მისი დადებითი როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რომელიც ილიას სიტყვით, იმდენად იყო იმ დროს „დაქვეითებული, რომ თითქმის არაფერი გაეგებოდა-რა საკუთარი ვითარებისა" და ამ მდგომარეობიდან ჩვენი ქვეყანა იმ თაობამ გამოიყვანა, რომელიც „აღზრდილი იყო რუსულ მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიც, რუსულის შემწეობით".

რუსეთიდან მომდინარეობდა ჩვენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი და ადამიანთა უფლებების დაცვის იდეები.

არჩილ ჯორჯაძის სიტყვით, „რასაკვირველია, რუსეთის ცხოვრებას დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენზე". იმ ბანაკთა შორის, რომლებიც იბრძოდნენ XIX ს.-ის 60-იან წლებში, მოწინავე, პროგრესული ბანაკის წარმომადგენლები „რუსეთში იზრდებოდნენ" და იქ შეიძინეს თავისი „საუკეთესო იდეები".

დასასრულ, არა მგონია არსებობდეს ისეთი ქართველი, რომლის იდეალსაც (აიეტის სიტყვით — „ნატვრას") ის არ წარმოადგენდეს, რომ ჩვენს ქვეყანას „არ დასჭირებოდეს უცხო დახმარება" და „მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს". მაგრამ ისიც ნათელია, რომ დღევანდელმა რეალობამ სხვა გზით წაგვიყვანა და რასაც დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

ჩვენ პარლამენტში არიან დეპუტატები, შეპყრობილი „ზეჭარბი ინდივიდუალიზმით", „მეს" პრევალირებით, „პერმანენტული ოპოზიციით" („ოპოზიცია ოპოზიციისთვის") და სხვ. რაც ჩვენი ეროვნული მოძრაობის წარუმატებლობის მთავარი მიზეზია და, რომლის ერთ-ერთი მთავარი, შეიძლება ითქვას, წარმომადგენელი ის დეპუტატია, რამდენიმე დღის წინათ „სასიკვდილო განაჩენი" რომ გამოუტანა თანამეგობრობაში შესვლის ყველა მომხრეს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა მხოლოდ სტრუქტურულად არ განსხვავდება რუსეთის იმპერიისაგან. დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში, როდესაც ეთიკამ საკმაოდ დიდი ადგილი მოიპოვა პოლიტიკაში და საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოთა ურთიერთობის რეგულირებაში, იმედი უნდა ვიქონიოთ — თანამეგობრობა არ მიიღებს ისეთ ფორმებს, როგორიც რუსეთისათვის ადრე იყო დამახასიათებელი, რომ ამას არ დაუშვებენ მასში შემავალი რესპუბლიკები, რომლებიც თავისთავად უკვე წარმოადგენენ მნიშვნელოვან ძალას. და ჩვენც გამოვიჩინოთ საკმაო გონიერებას, რათა ამ კავშირიდან ერისათვის სასარგებლო შედეგებს მივაღწიოთ.

შალვა ხიდაშელი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" № 248.

ღია წერილი ბატონ ვაჟა ადამიას და კიდევ გაზეთ „სარანგის" 8 ნოემბრის ნომრის მრავალი მაგიდით წარმოდგენილ ქართველ პოლიტიკოსებს.

რეპლიკა

ოპოზიციასთან ოპოზიციაში

ღია წერილის მოწერაც სწორედ გაზეთ „სარანგის" აღნიშნულმა ნომერმა გვიკარნახა, რომელმაც ერთდროულად ზოგ რამეს სინათლე მოჰფინა, უფრო მეტი კი დაბნეულობა გამოიწვია, რითაც ოპოზიცია თავის თავთან ოპოზიციაში აღმოჩნდა. დავიწყოთ იმით, რამაც დაგვაბნია.

საზოგადოებას კარგად ახსოვს გამსახურდიას პრეზიდენტობის დრო და კიდევ ის ოპოზიცია, რომელიც იმ ხელისუფლებას ჰყავდა. იგი ამჟამინდელი ხელისუფლების საპარლამენტო ოპოზიციასაც კარგად იცნობს.

ისიც ახსოვს, რომ მაშინაც და ახლაც ხელისუფლებასთან ოპოზიციაში ძირითადად ერთი და იგივე ძალები იყვნენ და არიან. „სარანგის" ბოლო ნომერმა სწორედ ამიტომ დააბნია მკითხველი, რომელიც დღემდე ფიქრობდა, რომ მერაბ კოსტავას საზოგადოება იმათ შორის არის, ვინც უწინდელ ხელისუფლებასთან ოპოზიციაში იყო. ყველაფერი გასაგები იქნებოდა, ბოლო გვერდზე დაბეჭდილი ერთი ზღაპარი (ავტორი ზ. გამსახურდია) რომ არა, რომელმაც ზემოხსენებული რეალობა ბურუსით შემოსა. ზღაპარი სასწორთვალასი და აუწონავი ხმის ჭაბუკისა, რომელმაც სასწორზე შეაგდო თავად კოსტავას საზოგადოების რეპუტაცია.

სწორედ ამ ზღაპარმა დააბნია მკითხველი არა მხოლოდ იმიტომ, რომ მიუხედავად ზღაპარს წამძღვარებული თბილი ანოტაციის და რედაქციის იმედისა, რომ მკითხველი ყველაფერს თვითონ გაიგებდა, ბევრი მაინც ვერაფერი გაარკვია, არამედ იმიტომაც, რომ თავად რედაქციას ეს ოპუსი ჰგონია წინასწარმეტყველური. წინასწარმეტყველებისა რა მოგახსენოთ, ზოგ რამეს კი ამ ზღაპარმა მართლაც მოჰფინა სინათლე; კერძოდ, იმას თუ რატომ არის გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის ის ვარიანტი, რომელსაც მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ხელმოწერა არ ამშვენებს (საინტერესოა, გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს რომელ ვარიანტს გამოაქვეყნებდნენ?).

ხომ არ მიგვანიშნებს „სარანგის" აღნიშნული ნომერი, რომ მერაბ კოსტავას საზოგადოება თავის თავს დაუპირისპირდა? თუ მან, ამ საზოგადოებამ, ყოფილ პრეზიდენტთან თავის დამოკიდებულებას გადახედა, რაც თავისთავად, ალბათ, საკუთარი წარსული შეცდომების ერთგვარი აღიარებაც არის.

ასეა თუ ისე, მკითხველთა დიდი ნაწილი, ვინც დღემდე ფიქრობდა, რომ ოპოზიციას აქვს თავისი პოზიცია და „გამსახურდიას ეპოქის" ნოსტალგია სულაც არ მოსძალებია, ოპოზიციასთან ოპოზიციაში აღმოჩნდა (მე პირადად ჯიუტად მჯერა, რომ „პატარა ცახესის" ავტორს და, შესაძლოა ბევრ სხვასაც, ეს არ ეხება, მაგრამ ასევე ჯიუტად მჯეროდა, რომ ეს არც მერაბ კოსტავას საზოგადოებას შეეხებოდა).

ახლა კი იმის შესახებ, რაც ნათელი გახდა:

• ნათელი გახდა (თუ ვინმესთვის კიდევ იყო საეჭვო), რომ ოპოზიცია სერიოზულ ოპოზიციაშია სახელმწიფოს მეთაურთან, მის მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ კურსთან. მეტიც, „სარანგის" აღნიშნულ ნომერში გამოქვეყნებული სახელმწიფოს მეთაურის ფოტოპორტრეტების თემატური გალერეა აკაკის ლექსებითურთ ამ ფარგლებსაც სცილდება და ომის გამოცხადებას უფრო ჰგავს. მაინც საკითხავია, ვინ უცხადებს ომს სახელმწიფოს მეთაურს — მერაბ კოსტავას საზოგადოება, თუ გაზეთის ამავე ნომრის მრავალი მაგიდის მონაწილე ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც ასე ფართოდ, ფოტოებით არიან წარმოდგენილი და მათთან ერთად ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაც (თუმცა, რედაქციამ რატომღაც ჩათვალა, რომ ამ საზოგადოების წარმომადგენლის გელა ნიკოლაიშვილის მკითხველისთვის წარდგენა უფოტოსურათოდაც შეიძლებოდა)?

ფოტოგალერეა, ეს ჟურნალისტური მიგნებაა და გაზეთის ამავე ნომერში წარმოდგენილ პოლიტიკოსთა ფოტოსურათებითაც არანაკლები წარმატებით გაკეთდებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ ბატონი შევარდნაძის სურათები საფეხურებად ლაგდება, ამ უკანასკნელთა პორტრეტები ერთ სიბრტყეზე აღმოჩნდებოდა და კიდევ... სჯობს აქ შევწყვიტოთ.

„სარანგის" ამ ნომერს სითამამეს ვერ დაუკარგავ, თუმცაღა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბუნდოვანს ხდის თავად კოსტავას საზოგადოების პოზიციას, რომელსაც ამ ბოლო ხანებში ისედაც ხშირად უკიჟინებენ გამსახურდიას მონატრებას, რასაც ისინი გადაჭრით უარყოფდნენ.

ერთიც არის, ზოგს თუ „ჩუ, ქართველო!" აგონდება, ზოგმაც აკაკის სხვა სტრიქონები გაიხსენა:

„და უმისოა ისე მწამს,
ვით უსულობა ხორცისა,
არც ცოცხალი ვარ, არც მკვდარი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა".

ის, ვინც თავის სათქმელს მაინც და მაინც აკაკისთან ეძებს, ბევრ სხვა რამესაც იპოვიდა, ვთქვათ, ამასაც:

რა დროს შუღლია, ღვთის მადლსა,
და შინაური ატეხა?
მტერი ჯერ კარზედ გვადგია
და უნდა ჩვენი გატეხა!
არა, ნუ ვიზამთ საქმესა —
გარეშეთ სასაცილოსა!
დეე, ძველსაც და ახალსაც
ნათელი მოეფინოსა!

ირინე ჩომახიძე.

მხოლოდ შრომა გადაგვარჩენს

თუ გული გულობს...

ანუ რაც ერთმა შეძლო, სხვათათვის რად უნდა იყოს მიუწვდომელი?

ბოლნისის რაიონის სოფელ მამხუთში ათობით ჰექტარ ფართობზე საამოდ ბიბინებს მწვანე ჯეჯილი, ამის მნახველს აღტაცებული დავრჩით და ადგილობრივი სახელმწიფო მეურნეობის დირექტორს უჩა ქართველიშვილს მივაკითხეთ.

— აგვისტოს ბოლოს დავთესეთ ქერი, — თქვა მან, — ნაყოფიერი და კარგად დამუშავებული მიწიდან თესლი მალე აღმოცენდა. მართლაც საუკეთესო ყანები გვაქვს, გვიან შემოდგომით ამას ცხვრის ფარებს მოვაძოვებთ და პირუტყვი ჯანსაღად გამოიზამთრებს. გაზაფხულზე კი სანაცვლოდ სხვა კულტურებს დავთესავთ.

მამხუთის მეურნეობამ ამის გარდა, სამარცვლედ უკვე 220 ჰექტარზე დათესა საშემოდგომო ქერი, 280 ჰექტარზე კი — ხორბალი. მარცვლეულ კულტურებს აქ დიდად აფასებენ. აქ წლეულს თითოეულ ჰექტარზე მიიღეს 25 ცენტნერი საშემოდგომო მარცვლეული. მეურნეობამ პირველმა მიყიდა სახელმწიფოს იმაზე მეტი ქერი და პური, რაც ნავარაუდევი იყო.

ბოლნისის რაიონში საშემოდგომო მარცვლეულის თესვა დასასრულს უახლოვდება. მეურნეობებმა ხნულს მიაბარეს მაღალკონდიციური თესლი. თესვა დიდი ხანია დაამთავრა არქევანის მეურნეობამ. მისი დირექტორი ზაურ ხუჯაძე ვარაუდობს ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვლის მიღებას, მერე კიდევ ნაწვერალზე სიმინდის მოსავლის მოყვანას.

საწვავის დეფიციტის პირობებში მეურნეობები წყალობას სახელმწიფოსგან როდი ელოდებიან. თავად დაამყარეს კავშირი მეზობელ აზერბაიჯანის ორგანიზაციებთან და გაცვლით თუ შედარებით ხელსაყრელ ფასებში შემოაქვთ, რათა შექმნან დოვლათი.

ასეა, თუ გული გულობს, საქმეც კეთდება. როცა ყოველივე ეს საკუთარი თვალით ვიხილე, გავიხარე, მაგრამ იმავე წუთს სევდაც შემომაწვა, რადგან გამახსენდა ახლახან კახეთში ერთ-ერთ ავტორიტეტულ თათბირზე თქმული: საშემოდგომო თესვის ვადები იწურება, მაგრამ არცერთი ჰექტარი არ არის მოხნული და დათესილი. ხომ არ აჯობებს, რომ ქვემოქართლელთა მაგალითისამებრ არც კახელები დაელოდონ სახელმწიფოს წყალობას, და თავად გამოიჩინონ მეტი ინიციატივა? აზერბაიჯანელები ხომ მათი მეზობლებიც არიან? მხოლოდ ასეთი ინიციატივა გვიხსნის კრიზისიდან და შიმშილს გადაგვარჩენს.

დავით ბიწაძე.

სარედაქციო ფოსტიდან

მხოლოდ მაღალი კლასის სპორტსმენები მოვამზადოთ

დღეს, როდესაც საქართველო მტკიცედ დაადგა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზას, რომლის აშენებაში მრავლად მოუხდება წინააღმდეგობების გადალახვა, მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სიძნელეებისა, მაინც უნდა ვიზრუნოთ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასთან ერთად სპორტული მოძრაობის შემდგომ სრულყოფაზე, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება.

ამ წერილით მე, როგორც სპორტული მედიცინის ერთ-ერთი უხუცესი სპეციალისტი, ერთხელ კიდევ შევახსენებ ჩვენს მწვრთნელებს, სპორტულ გუნდების (კლუბების), ორგანიზაციების (ფედერაციების) ხელმძღვანელებს, თვით სპორტსმენებს და მათ სპონსორებს, რომ სპორტული მომზადების თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე აყვანა მოითხოვს არსებული წვრთნის მეთოდების (პედაგოგიური პროცესის) თვალსაჩინოდ გაუმჯობესებას და რაც მთავარია, საწვრთნოსამეცადინო პროცესში ფიზიკური დატვირთვის ინტენსივობისა და მოცულობის მნიშვნელოვნად გაზრდას. სამწუხაროა, რომ ძირითადად საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადება, რომელიც დღეს ჩვენ სპორტსმენებს აქვთ სპორტის ცალკეულ სახეობებში, ხშირად ვერ პასუხობს იმ დონეს, რაც აუცილებელია ევროპის, მსოფლიოს სხვადასხვა ოფიციალურ შეჯიბრებებსა და ოლიმპიურ თამაშებში საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად. მართალია, სადღეისოდ ჩვენ გვყავს სპორტის ზოგიერთ სახეობაში ძალიან მაღალი რანგის სპორტსმენები, მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა და გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ისინი ადრე გვყავდა.

სწორედ იმისათვის, რომ მოხდეს რაციონალური წვრთნით მაღალი კლასის სპორტსმენთა თანამედროვე დონეზე დაოსტატება, აუცილებელია სპორტი განვავითაროთ სპორტული მედიცინის ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით. იმისათვის, რომ გავზარდოთ სპორტსმენთა ფსიქო-ფიზიკური დატვირთვები, მწვრთნელები და სპორტსმენები უნდა ეყრდნობოდნენ სამედიცინო, ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს, რასაც ჯერჯერობით ჩვენ სპორტსმენთა მომზადების საქმეში სათანადო ყურადღება არ ეთმობა. სამწუხაროდ, მაღალი კლასის სპორტსმენთა სამედიცინო კონტროლის დროს ვლინდება, რომ მათ უმრავლესობას აღენიშნება დაბალი ფიზიკური მუშაობის უნარი, ხოლო ამ უკანასკნელზე დაყრდნობით ხდება მათი წვრთნის პროცესის რეგულირება. მწვრთნელთა უმრავლესობა აღნიშნულ გარემოებას ნაკლებ ყურადღებას უთმობს, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მიზეზს იმისას, რომ ჩვენს სპორტსმენებს არა სათანადო ყოველმხრივი ფიზიკური მომზადებისა და შედარებით დაბალი ნებელობითი თვისებების გამო ხშირად უჭირთ ეგრეთ წოდებული „ფინიშირება", რაზეც დამოკიდებულია სპორტში გამარჯვების მოპოვება. ვფიქრობ ბევრად მეტი უნდა კეთდებოდეს მომავალი ვარსკვლავების ძებნისა და მომზადების საქმეში.

გულახდილი თუ ვიქნებით, სპორტულ მედიცინაში მომუშავე ექიმებმაც ერთგვარად დაკარგეს ხალისი თავიანთ საქმიანობაში იმის გამო, რომ მწვრთნელების და თუგინდ თვით სპორტსმენების მხრიდან ისინი ვერ ხედავენ რაიმე ინტერესის გამოვლინებას მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიმართ. აღნიშნულმა, ექიმების ძალიან დაბალ ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად თითოეულ მათგანს მკვეთრად დაუკარგა მუშაობის სურვილი, მაშინ, როდესაც სპორტული ექიმის გარეშე დღეს წარმოუდგენელია სპორტსმენისათვის მაღალი სპორტული მუშაობისუნარიანობის დიდხანს შენარჩუნება.

ამგვარად, თუ მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადების საქმეს მის ყველა ეტაპზე არ დაეთმო სპეციალური ყურადღება და იგი არ იქნა აყვანილი პროფესიონალურ დონეზე, მოხდება ისე, რომ ჩვენი სპორტის გულშემატკივრები კვლავაც ხშირად დარჩებიან გულნატკენნი იმის გამო, რომ ჩვენი ეროვნული გუნდები ვერ შეძლებენ ისეთი სპორტის დემონსტრირებას, როგორიც საქართველოს ეკადრება.

რომანოზ სვანიშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ამერიკამ უნდა განსაზღვროს თავისი სტრატეგიული პრიორიტეტები

„ჩვენ მართალია უდიდესი სახელმწიფო ვართ, მაგრამ ნებისმიერი ძლიერება შეზღუდულია", განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა ჯონ შალიკაშვილმა. სამშაბათს, პენტაგონში გამოსვლისას, მან თქვა რომ, შეერთებულმა შტატებმა „ძნელი, მტკივნეული არჩევანი უნდა მოახდინოს". ამერიკამ, ხაზი გაუსვა გენერალმა, უნდა განსაზღვროს თავისი „სტრატეგიული პრიორიტეტები, რათა მის ძალისხმევას, ფინანსურ ხარჯებსა და რისკს მიზანმიმართული ხასიათი ჰქონდეს". ამავე დროს, მან თქვა, რომ ამერიკამ „უარი არ უნდა თქვას მსოფლიოს თავისეულ ხედვაზე". „პირიქით, ჩვენ კვლავინდებურად უნდა ვიყოთ ძალიან აქტიურები, კვლავაც უნდა გამოვიჩინოთ დიდი სიფხიზლე", — აღნიშნა გენერალმა.

57 წლის ჯონ შალიკაშვილმა, რომლის პაპა მეფის რუსეთის არმიის ოფიცერი იყო, შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე შეცვალა გადამდგარი გენერალი კოლინ პაუელი. ამ დანიშვნამდე იგი იყო ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. ამა წლის აგვისტოში, პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ჯ. შალიკაშვილის კანდიდატურა წამოაყენა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე. ოქტომბრის დამდეგს ეს დანიშვნა დაამტკიცა კონგრესმა, გასული თვის დამლევს კი მან ფიცი დადო.

პრეზიდენტი შეშფოთებულია

ავსტრიის ფედერალურმა პრეზიდენტმა თომას კლესტილმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვა უკრაინის პარლამენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომ აპირებს განაგრძოს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ექსპლოატაცია. ეს მან განაცხადა სამშაბათს გამართულ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრთან ანატოლი ზლენკოსთან შეხვედრაზე, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება. მხარეებმა განიხილეს ადრეული მაუწყებლობის სისტემის შექმნის, აგრეთვე უკრაინის ტერიტორიაზე სხვა ატომურ ელექტროსადგურებში ავსტრიელ სპეციალისტთა დაშვების შესაძლებლობა. უკრაინის მინისტრმა განაცხადა, რომ გაგებით ეკიდება ავსტრიის პოზიციას, მაგრამ ამავე დროს, ხაზი გაუსვა, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე, აგრეთვე ეკონომიკურ მოსაზრებათა გათვალისწინებით. გარდა ამისა, მან ავსტრიის ყურადღება მიაპყრო ამას წინათ უკრაინასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილ შეთანხმებას უკრაინის ატომური ელექტროსადგურების უსაფრთხოებისადმი კონტროლის შესახებ.

სიტუაცია უარესდება

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო დიდ შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მოდის ცნობები ცენტრალურ ბოსნიაში სიტუაციის გაუარესების შესახებ, სადაც საომარი მოქმედების ესკალაცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის სამოქალაქო მოსახლეობის უშიშროებას. ეს ნათქვამია განცხადებაში, რომელიც გააკეთა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ჟოზე ლუიშ ზეჟუშმა (კაბო-ვერდე) სამშაბათს გამართულ საბჭოს სხდომაზე. „უშიშროების საბჭო მოითხოვს, რათა ყველა მხარემ თავი შეიკავოს ნებისმიერი მოქმედებისაგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის სამოქალაქო მოსახლეობის უშიშროებასა და კეთილდღეობას. საბჭო თანაბარ წილად შეშფოთებულია ბოსნია-ჰერცეგოვინის რესპუბლიკაში საერთო ჰუმანიტარული სიტუაციის გამო. იგი კვლავ მოითხოვს, რომ ყველა ქვეყანამ და სხვა შესაბამისმა სუბიექტებმა უზრუნველყონ ჰუმანური დახმარების შეუფერხებელი მიწოდება", — აღნიშნულია განცხადებაში.

მოსკოვის პრესის ყურადღების ცენტრში

მოსკოვური პრესის ყურადღების ცენტრშია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც 12 დეკემბერს საყოველთაო-სახალხო კენჭისსაყრელად გამოაქვთ.

ამ დღეს, წერს **„კრასნაია ზვეზდა"**, თავის სარედაქციო სტატიაში, რომლის სათაურია, „გადაწყდება რუსეთის სახელმწიფო წყობილების საკითხი". ეხება რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გამოქვეყნებულ რუსეთის ფედერაციის ძირითადი კანონის პროექტის სრულ ტექსტს, კერძოდ, წერს: „გვინდა გვჯეროდეს, რომ ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის შესწავლის დროს ყველა ჩვენგანი, შეხედულებებისა და პოლიტიკური სიმპათიების მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს, ხმას მივცემთ სტაბილურობასა და მშვიდობას, ჩვენს თავისუფლებასა და უფლებებს, ერთიან სახელმწიფოს, რომელშიც თითოეული თავს იგრძნობს სრულუფლებიან მოქალაქედ და თავისი ბედის განმგებლად".

ამ პროექტისადმი მიძღვნილ ორ სტატიას ბეჭდავს **„კომსომოლსკაია პრავდა"**. გაზეთი ხაზს უსვამს სამართლებრივ საკითხებში პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურის თანაშემწის რობერტ ცეპილევის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ეს პროექტი „გამორიცხავს ოქტომბრის სიტუაციის გამეორებას, როცა ხელისუფლების ორი შტო ერთმანეთს დაეტაკა". გაზეთი ავლებს პარალელს რუსეთის ძირითად კანონსა და მსოფლიოში უძველეს ამერიკის კონსტიტუციას შორის იმ თვალსაზრისით, რომ ეს „უკანასკნელი იქმნებოდა არა ნაკლებად კრიტიკულ პირობებში", როცა არსებობდა სასტიკი სოციალ-ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობა, არ ჰქონდათ ფული არმიისა და ფლოტის შესანახად...

„როსიისკიე ვესტი" გამოჰყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ახალი კონსტიტუციის მიღებასთან ერთად გაგვიჩნდება მძლავრი ინსტრუმენტი სახელმწიფოსა და საზოგადოებაში უმწვავეს პრობლემათა გადასაჭრელად. აღნიშნავს რა, რომ ფედერალური კრების არჩევნებისათვის მზადების დროს ყველაზე მეტი ხელმოწერა მოაგროვა ბლოკმა „რუსეთის არჩევანი", გაზეთს ამავე დროს მოულოდნელად არ მიაჩნია, რომ ლიბერალური ბლოკების ბანაკში მეორე და მესამე „ადგილები დაიკავეს შესაბამისად „იავლინსკი-ბოლდირევ-ლუკინმა" და რეგიონალური ნომენკლატურის პარტიამ. გამორიცხული არ არის, შენიშნავს იგი, რომ არჩევნებში დაახლოებით ასეთნაირადვე განაწილდება ამომრჩეველთა ხმები, ლიბერალური ორიენტაციის პარტიების მიხედვით.

ზოგიერთი გაზეთი ბეჭდავს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის გუშინდელი გამოსვლის შინაარსს. მან სიტყვა წარმოთქვა კონსტიტუციის პროექტის შესახებ ტელევიზიის პირველი და მეორე არხით. კერძოდ, **„ნეზავისიმაია გაზეტამ"** თავის ინფორმაციას წაუმძღვარა ბ. ელცინის სიტყვები იმის შესახებ რომ რუსეთს უაღრესად სჭირდება მტკიცე სამართლებრივი წესრიგი. **„ნეზავისიმაია გაზეტაში"** დაბეჭდილია სანქტ-პეტერბურგის მერის ანატოლი სობჩაკის ინტერვიუ, რომელშიც იგი საუბრობს, კერძოდ, ამ პოსტზე თავისი საქმიანობის შედეგების შესახებ, აგრეთვე ცნობილი კინორეჟისორის ნიკიტა მიხალკოვის ინტერვიუ.

„პრავდამ" დაბეჭდა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის პროექტის პირველი ორი თავი, წერს, რომ შემდგომ ნომრებში პროექტის პუბლიკაცია გაგრძელდება. გაზეთში დაბეჭდილ რუსეთის დემოკრატიული პარტიის ლიდერის ნიკოლოზ ტრავკინის ინტერვიუში შეფასებულია ქვეყანაში შექმნილი წინასაარჩევნო სიტუაცია.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის 11 ნოემბრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	21,213.58	კუპონი
ავსტრიული შილინგი	2,685.91	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	47,116.67	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	8,879.22	კუპონი
გერმანული მარკა	18,886.41	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	16,834.62	კუპონი
დანიური კრონი	4,748.00	კუპონი
100 იტალიური ლირა	1,937.54	კუპონი
კანადური დოლარი	24,588.84	კუპონი
ნორვეგიული კრონი	4,349.45	კუპონი
აშშ დოლარი	31,814.00	კუპონი
ფინური მარკა	5,546.47	კუპონი
ფრანგული ფრანკი	5,425.71	კუპონი
შვედური კრონი	3,919.48	კუპონი
შვეიცარიული ფრანკი	21,433.70	კუპონი
10 იაპონური იენი	2,948.55	კუპონი
ეკიუ	36,166.16	კუპონი
10 ესპანური პესეტა	2,342.59	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	1,320.48	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	44,876.96	კუპონი
ისლანდიური კრონი	446.21	კუპონი
კუვეიტური დინარი	106,686.83	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	185.47	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	1,841.69	კუპონი
სინგაპურული დოლარი	19,972.42	კუპონი
10 თურქული ლირა	24.10	კუპონი
100 რუსული მანეთი	2705.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	8,026.28	კუპონი
ლატვიური ლატი	51,934.11	კუპონი
ესტონური კრონი	2,358.49	კუპონი
1000 უკრაინული კარბოვანეცი	893.00	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

ინფორმაცია 93

საქინფორმის ლენტიდან

აგროვებენ დოკუმენტებს გენოციდის შესახებ

უკვე ვიუწყებოდით, რომ 8 ნოემბერს გაიმართა აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართველთა ეთნიკური წმენდის ფაქტების შემსწავლელი კომისიის გაფართოებული სხდომა.

სხდომაზე მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებრიობაში: კომისიის წევრმა, საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა ქართლოს ღარიბაშვილმა თქვა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას კომისიის მუშაობაში, ვიდრე ამ კომისიას ხელმძღვანელობს პროფესორი ლევან ალექსიძე. მან ეს იმით დაასაბუთა, რომ ლევან ალექსიძე ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში იყო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების აპარტეიდული ხასიათის კანონის ერთ-ერთი ავტორი, რომელმაც დააკანონა არჩევნების კვოტური პრინციპი.

— ამ კანონის წყალობით აფხაზებმა უზენაეს საბჭოში მიიღეს 28 ადგილი, ქართველებმა კი — სულ 26. ამ კანონმა განამტკიცა სეპარატისტებისა და მათი ლიდერის არძინბას პოზიციები და გამოიწვია სავალალო შედეგები, ამიტომ, — თქვა ქ. ღარიბაშვილმა, — ალექსიძე არ უნდა ხელმძღვანელობდეს ამ კომისიას. აქვე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ პატივს სცემს ლევან ალექსიძეს — როგორც მეცნიერსა და პედაგოგს, მან დატოვა სხდომის დარბაზი, თუმცა აღნიშნა, რომ მზად არის დაეხმაროს კომისიას მასალების მომზადებასა და სისტემაში მოყვანაში.

თამაზ ნადარეიშვილმა სხდომის ყველა მონაწილეს მიმართა უკუაგდონ პირადი ანტიპათიები, ამბიციები, მოვლენათა სუბიექტური, ცალმხრივი განსჯა და გამოთქვან კონკრეტული წინადადებები კომისიის მუშაობის დაჩქარებისა და გაუმჯობესებისათვის.

სხდომაზე გამოსულმა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი ხიხარულიძემ დამსწრეთ მოახსენა კავშირის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და კომისიას გადასცა აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდის ამსახველი დოკუმენტების პაკეტი, მათ შორის ფოტომასალები, რუსეთის პრესაში გამოქვეყნებული მასალები, ლტოლვილთა და თვითმხილველთა ნაამბობის ჩანაწერები...

სხდომაზე აღინიშნა, რომ ყველა უწყებამ და შესაბამისმა სამსახურმა უნდა გააგრძელონ დოკუმენტაციის, ფოტო-ვიდეომასალების შეგროვება, რომლებიც მოწმობენ აფხაზი და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების მიერ ჩადენილ მხეცობას.

თენგიზ პაპკორია.

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. ცნობილი გახდა, რომ გუდაუთის დაჯგუფება ახორციელებს ჯარების კონცენტრაციას ენგურის გასწვრივ, საქართველოს სამთავრობო ჯარების შესაძლო შეტევის მოსაგერიებლად. ამაგრებენ აგრეთვე ოჩამჩირეს, ანუარსუს სტრატეგიულ სიმაგრესა და ტამიშ-კინდღის მონაკვეთს. მიმდინარეობს საფორტიფიკაციო სამუშაოები, რომლებშიც მონაწილეობენ ქართველი ტყვეები.

ქუთაისი. ქუთაისის გამგებლის მოადგილემ თემურ ლოლაძემ ჩვენს კორესპონდენტს განუცხადა, რომ დღეისათვის ქალაქში 12.000-მდე ლტოლვილია. გართულებულია მათი ორგანიზებული დაბინავება. ჭირს ლტოლვილთა უზრუნველყოფა საკვებით, ტანსაცმლითა და მედიკამენტებით.

ცხინვალი. ცხინვალის რაიონის ქურთის თემის გამგეობაში 15-ზე მეტი სოფელია გაერთიანებული. ამჟამად გამგეობა 9 სოფელს კურირებს. იქ სიტუაციას მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ძალები, საგზაო პოლიცია და სამშვიდობო რაზმები აკონტროლებენ. უკანასკნელ ხანს არ დაფიქსირებულა მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტები.

სარედაქციო ფოსტიდან

ერთნი ვართ

იმ დროს, როდესაც მავანნი (მათ შორის ზოგიერთი მწერალიც) ხელს უწყობდნენ ეროვნული და კუთხური განსაკუთრებულობის დამღუპველ ტენდენციას, ეწეოდნენ ეროვნული გრძნობებით იაფფასიან სპეკულაციას და სისხლის ღვრისკენ მოუწოდებდნენ, რასაც შემდგომში ჩვენივე დაუდევრობით ფსიქიკური ეპიდემიის გავრცელება და სხვა ბევრი უბედურება მოჰყვა, როგორც ჩანს, ბევრმა ვერ გაითავისა ცნობილი პოეტი ქალის მედეა კახიძის შესანიშნავი ლექსი „ერთნი ვართ" (პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" 1976 წელს).

ვფიქრობ, ამ ლექსის კვლავ გამოქვეყნებას (მით უფრო, თქვენი მასობრივი ტირაჟით) დღეს უფრო დიდი რეზონანსი ექნება და ის გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების გამოფხიზლებას.

პატივისცემით
ოთარ ბერიშვილი,
ჟურნალისტი.
9/XI 93 წ.

რა გვაქვს სამტრო და
საკამათო,
სად გვაქვს გასაყოფი
ზვრები და ტბები,
როდემდე ვუგოთ
ერთმანეთს კაკანათი,
როდემდე ვიყოთ
ძმები ძმის მტრები.
ერთი მზე გვათბობს,
ერთი მზე დაგვცქერის,
ერთი წინაპრის
ნაკვალევს ვკოცნით.
ერთი გვაქვს სჯული,
ჭალა თუ ჩანჩქერი,
ერთნი ვართ
სისხლით, ხორცით.
ნუ გავხდით ჩვენს ამბავს
საიგავოდ,
ნუ დაჭაპურებთ
უძღებს.
ძმამ ძმა ბეწვის ხიდზე
გავიყვანოთ,
ვამრავლოთ პური და ფუძე,
ვახაროთ აპრილი
ნერგები თვითონვე.
რაც მტრობით
მოცელეს, მოწვეს.
თორემ თვით გავხდებით, იცოდით,
ჩვენივე დაღუპვის
გარეშე მოწმე,
თორემ
ხელიერთპირ განქარდება,
რაც წლობით მამებმა
დუღაბით შეკრეს,
სხვა მოუგერიებს
გელათს და მცხეთას,
სხვა მოუპატრონებს ნეკრესს.
აღარ ეყოლება
გამკითხველი
მტრობას, შურს,
ღალატს და შფოთვას,
აღარ ეყოლება
წამკითხველი
ილიას, ვაჟას, შოთას.
ძმამ ძმა ბეწვის
ხიდზე გავიყვანოთ,
ნუ გავხდით ჩვენს ამბავს
საიგავოდ.

მედეა კახიძე.

გადაძახილი

და იქმენ ნათელი

„გავიცნოთ ერთმანეთი", ამ სათაურით გაზეთ „ვრასტანმა" („საქართველო") ამას წინათ გამოაქვეყნა მწერალ ჯემალ რატიანის სომხურად თარგმნილი ლექსები და ცნობილი სომეხი პოეტის სევაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილი „და იქმენ ნათელი". სომეხმა მწერალმა ბენიკ სეირანიანმა იგი ასე წარუდგინა მკითხველს: „სიყვარულით ვეგებებით ჩვენს ახალ ავტორს — ჯემალ რატიანს, მისი ლექსები და სიტყვა ეხმაურება მისივე მეგობრის, სომეხი ხალხის გენიალური პოეტის პარუირ სევაკის ლექსებსა და სიტყვას, რომელიც ადრე წავიდა ამ ცხოვრებიდან".

მაშინ ჩემი ძმა ცოცხალი იყო. დილით შემომირბინა და ლექსების კრებული გამომიწოდა. წაიკითხე, იცოდე, დიდი მწერალია. იმ დღიდან მე და სევაკი დავმეგობრდით. სასთუმალთან მედო წიგნი და ყოველ ღამით, ძილის წინ, აბების ნაცვლად „ვღებულობდი" ლექსებს დასაძინებლად.

მესიზმრებოდა: პატარა პარუირი, არდადეგებზე, სახრით ხელში, სომხეთის მივარდნილ სოფელ ჩანახჩის მთის კალთაზე, როგორ აძოვებდა ცხვარს. შემდეგ, დაღლილ-დაქანცული მიერეკებოდა ცხვარს შინისაკენ და ღამ-ღამობით ფუნით მოზელილ მიწურში ჭრაქის შუქზე, წიგნებგადაშლილი უკირკიტებდა თავისი ტანჯული ხალხის გარდასულ ისტორიას. ოცნებობდა იმაზე, რომ ჩქარა გაზრდილიყო და გაეგრძელებინა სწავლა დედაქალაქში. დადგა ნანატრი დღეც. პარუირ ღაზარიანი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მერე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი, პარალელურად წერდა ლექსებს, პოემებს ესეებს. თარგმნიდა ესენინს, მაიაკოვსკის, მეჟელაიტისს, უიტმენს, გალაკტიონს და ნელ-ნელა, კუსნაბიჯით, ზურგზე ტვირთმოკიდებული მიიწევდა წინ დიდი ლიტერატურის კორიფეთა რიგების შესავსებად.

სიცოცხლეში, როცა მას იცნობდნენ როგორც პარუირ ღაზარიანს, ის ძლიერ უყვარდათ. უყვარდათ ნაცნობ-მეგობრებს, ნათესავებსა და ყველა მის ირგვლივ მოფუსფუსე საზოგადოებას. დაირქვა სევაკი და აღარ უყვარდათ ყველა იმას, ვისაც ის უყვარდა. რადგან ცოცხალი სევაკი მათ არ უნდოდათ. იგი გაუცხოვდა. საუბედუროდ, ასეთია დიდ ადამიანთა ხვედრი.

1971 წლის 17 ივნისს სევაკი ავტოკატასტროფაში მოჰყვა და გარდაიცვალა. უფრო სწორად, ვგონებ, მოკლეს. სწორედ მას შემდეგ, სევაკი შეიყვარა სომეხმა ხალხმა, აღიარა მსოფლიო მწერლობამ და დაიმკვიდრა მარადიული სახელი ცოცხალთა შორის. ძველმა ნაცნობ-მეგობრებმა მაშინვე დაივიწყეს მისი ნამდვილი გვარი ღაზარიანი და სცნეს როგორც პარუირ სევაკი. სომეხ ხალხთა უსაყვარლესი და ერთ-ერთი უდიდესი პოეტი.

დღეს ჩემი ძმა ცოცხალი აღარ არის.

და მე და სევაკი გაზეთის ფურცლებიდან ერთიმეორეს ვუღიმით.

ჯემალ რატიანი.

სურათზე: პარუირ სევაკი.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

„კავკავიტი" დაგეხმარებათ

უკვე ორი წელია თბილისში თავისი წარმომადგენლობა გახსნა მსოფლიოში ცნობილმა ამერიკულმა საგანმანათლებლო ლინგვისტურმა ცენტრმა ELS-მ, სახელწოდებით „კავკავიტი". ამერიკული ცენტრი უკვე 30 წელია არსებობს და მას თითქმის ყველა შტატში აქვს თავისი წარმომადგენლობა. მათი დახმარებით ყველას შეუძლია შეისწავლოს ნებისმიერი უცხო ენა ნებისმიერ ქვეყანაში.

ენის შესწავლის მსურველთათვის უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში გახსნილია მოსამზადებელი კურსები — ინტერნაციონალური ბანაკები. მოსწავლეები აქ ენას გაძლიერებული კურსით სწავლობენ — ყოველდღიურად 50-წუთიანი 6 გაკვეთილი. და კარგ შედეგებსაც აღწევენ. სუპერინტენსიური პროგრამა განკუთვნილია მოსამსახურეთა, ავიატორებისა და საქმიანი ხალხისთვის. თქვენ თუ გადაწყვიტეთ სწავლის გაგრძელება, ELS დაგეხმარებათ მოხვდეთ უმაღლეს სასწავლებელსა და კოლეჯში. გარდა ამისა, არის სპეციალური პროგრამა, რომელიც სტუდენტებს ამერიკელთა ოჯახებში აგზავნის, სადაც ისინი არა მარტო ენის ცოდნას იღრმავებენ, არამედ ამერიკელთა ცხოვრების ადათ-წესებს, მათ კულტურასაც ეცნობიან.

„კავკავიტმა" შეძლო კონტაქტები დაემყარებინა გერმანიასთან, იტალიასთან, შვეიცარიასთან, საფრანგეთთან. სტუდენტებს სასწავლებლად აგზავნიან ამ ქვეყნებში. (ახლახანს „კავკავიტმა" სტუდენტები გაგზავნა რიჩმონდის უნივერსიტეტში).

განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს ამერიკული საერთაშორისო ინსტიტუტი „PEACE". მათი პროგრამა ყველასათვის ხელმისაწვდომი და საინტერესოა. მოსწავლეები 5-10 თვის განმავლობაში ცხოვრობენ უმეტესად ამერიკელთა ოჯახებში და სწავლობენ კოლეჯებში. თითოეულ მოსწავლეს აქვს თავისი ინდივიდუალური პროგრამა და ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც კონტაქტები აქვს ოჯახსა და სკოლასთან. ყოველ თვეში ეს ინსტიტუტი და „კავკავიტი" იღებენ ინფორმაციას მოსწავლის წარმატების შესახებ.

ამ ცოტა ხნის წინათ „კავკავიტმა" კავშირი დაამყარა ინგლისის უძველეს ორგანიზაცია „გაბიტასთან", რომელიც ინგლისში ბავშვებს სასწავლად იწვევს 3 წლის ასაკიდან და მეურვეობას უწევს იმ ოჯახს, სადაც ბავშვმა უნდა იცხოვროს.

ანა მალიუგინა.

ჭადრაკი

მონტე-კარლოში დასრულდა იოსელიან-სე ცზიუნის საგვირგვინო მატჩის პირველი ნახევარი, რომელმაც ჩინელი მოჭადრაკის უპირატესობით ჩაიარა. გუშინწინ ყაიმით დამთავრებული მერვე პარტიის შემდეგ შეხვედრის ანგარიში გახდა 6:2 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. წოდების შესანარჩუნებლად მას რეგლამენტით გათვალისწინებულ დარჩენილ 8 პარტიაში 2 ქულის მოგროვებაღა სჭირდება.

ფეხბურთი

წინა ტურში შინ გურჯაანის „ერქვანთან" განცდილი მოულოდნელი მარცხის (1:2) შემდეგ თბილისის დინამოელები თელავს ეწვივნენ და მორიგ შეხვედრაში იოლად გაუსწორდნენ ადგილობრივ „კახეთს" — 5:0. აღსანიშნავია ლიდერთა იმედისმომცემი დებიუტანტის ალექსანდრე იაშვილის შედეგიანი თამაში, რომელმაც ზედიზედ მესამე მატჩი აღნიშნა „თავისი გოლით".

გადაიდო იმავე დღისათვის დანიშნული ორთაბრძოლა „მეტალურგი"-„შევარდენი-1906".

სამბო

მსოფლიო ჩემპიონატის 7 მედლით ბრუნდებიან ომსკიდან ქართველი სამბისტები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მცხეთელი სპორტსმენის არჩილ ჩოხელის (68 კგ) მიღწევა — იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა! ამასთანავე, მოპოვებულია 2 „ვერცხლი" და 4 „ბრინჯაო".

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა გუნდმა უკრაინელთა შემდეგ საპატიო მეორე ადგილი დაიკავა.

დღეს თუ გამოიწერთ, ხვალ მოგებული იქნებით!



[illegible] მეტად სწორედ ახლა, ამ არეულ დროს სჭირდება ჩვენი გაზეთი თითოეულ თქვენგანს, თქვენს ოჯახებს, ძვირფასო მეგობრებო!

თუ გსურთ ოპერატიულად შეიტყოთ ახალი ამბები, გაერკვეთ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ პროცესებში, ეკონომიკაში, თვალი გაადევნოთ მსოფლიოში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, იჩქარეთ, გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", ვიდრე მისი ერთი ნომრის ფასი ყველაზე იაფია, თორემ, რა გიცით, ჩვენი კუპონის შემხედვარე ხვალ-ზეგ რა გუნებაზე დავდგეთ.

მაშ, ნუ დაელოდებით გამოწერის უკანასკნელ ვადას — 25 ნოემბერს, ახლავე მოისტუმრეთ ეს საქმე, ხვალ მოგებული იქნებით!

„საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა შეუფერხებლად შეიძლება „საქპრესის" ნებისმიერ განყოფილებაში. ჩვენი ინდექსია 66434.

მხატვარი მალხაზ კუხაშვილი.

შუბლში ტყვია... ვაჟკაცობისთვის

ოქტომბრის მიწურულს თბილისი-ბათუმის სამგზავრო მატარებელში ტრაგედია დატრიალდა — მოკლეს სრულიად უდანაშაულო ადამიანი, მე-11 ვაგონის გამცილებელი.

ოთარ ფუტკარაძე 42 წლის კაცი იყო, სამი შვილი — ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟი ჰყავდა. სიკვდილამდე ორიოდ დღით ადრე მოუნახულებია მეგობრები, ახლობლები... იქნებ, ვეღარც შევხვდეთ ერთმანეთსო, უთქვამს.

მისი დანაშაული სულ ის იყო, რომ ერთი მხედრიონელისა და ორი სამოქალაქო ფორმიანი პირის მიერ დაშინებული და აბუჩად აგდებული მეზობელი ვაგონის გამცილებელი ქალი შეიხიზნა. დედლურად რომ მოქცეულიყო, მკვლელები მას ყველაფერს აპატიებდნენ. ვაჟკაცური საქციელი — სუსტი ადამიანის გამოქომაგება კი არ მოეწონეს. არ აპატიეს.

ხაშურს რომ გასცდნენ, სადღაც ზესტაფონთან, მკვლელები ოთარ ფუტკარაძის კუპესთან მივიდნენ და კარის გაღება მოსთხოვეს. ბრძანება რომ არავინ შეასრულა, მხედრიონელმა შემართა ავტომატი და ადამიანთა თვალწინ კუპეს დაუმიზნა. გაისმა გასროლა, თითქოს არაფერიო. მსროლელები უკან გაბრუნდნენ და ტკბილ ძილს მისცეს თავი. გასროლას კი მსხვერპლი მოჰყოლია.

29 ოქტომბერი იყო. მიცვალებული ქალაქ ზესტაფონში გადაასვენეს. ჭირისუფლებმა გვამის სამედიცინო შემოწმება, ანუ ექსპერტიზის ჩატარება და შესაბამისი დასკვნის გაკეთება მოითხოვეს. „სიკვდილიდან 24 საათის გასვლამდე ექსპერტიზის ჩატარების უფლება არ გვაქვსო", მიიღეს პასუხად.

პატარა ძღვენი და, ახლობლების დაჟინებული მოთხოვნით, ექიმი-ექსპერტი შეუდგა თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებას.

როგორც ჭირისუფლები ამბობენ, ზესტაფონმა ვერ მოიცალა მათი მკვდრისათვის. ერთი ვაი-ვაგლახით ჩაასვენეს სამტრედიამდე. იქ უკვე ყურადღება და სამძიმარი არ მოკლებიათ, რკინიგზის სადგურის მორიგემ სპეციალური ელმავალიც გამოუყო მათ.

მკვლელობა მე-11 ვაგონში მრავალმხრივ არის საყურადღებო. მატარებლების დაცვა ფაქტობრივად უშედეგოა სხვადასხვა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. დაცვის თანამშრომლები მგზავრების უსაფრთხოებაზე ნაკლებად ზრუნავენ. ისინი ან ღრეობენ, ან „კონტრაბანდის გამოვლენით" და საკუთარი ჯიბის გასქელებით არიან დაკავებული. „დაღეღლებულები" სრულიად არ რეაგირებენ მოხულიგნო თუ მოყაჩაღო ელემენტების გამოხდომებზე. მშიერ და მომქანცველი მგზავრობით გაწამებული ადამიანები მთელი ღამე ფხიზლობენ ქურდებისა და მკვლელების შიშით, დაცვა კი ამ დროს, გამოლეშილი, ტკბილად ხვრინავს.

მკვლელები დაპატიმრებული არიან. მიცვალებულის მშობლიური სოფლისა და მთელი ბათუმის მოსახლეობის მოთხოვნა — მკვლელისა და მისი ამფსონების სამაგალითო დასჯაა. იმედია, ამჯერად მაინც იქნება თემიდა დაზარალებულის მხარეზე.

სახელმწიფო თუ კერძო ობიექტებისა და სატრანსპორტო საშუალებების დაცვის თანამშრომლები კვალიფიციური, ღრმა შემოწმებისა და სპეციალური გამოცდების შემდეგ უნდა შეირჩეს. მათი მთავარი ღირსებები — პატიოსნება, ვაჟკაცობა, სიფხიზლე და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა უნდა იყოს. ეს რომ ასე ყოფილიყო, არც იმ დანიშნულების ადგილზე ჩასულ სატვირთო მატარებელს დააკლდებოდა 96 ტომარა შაქრის ფხვნილი, რომელსაც რკინიგზის ობიექტების დაცვის პოლიციელი ფარადაშვილი აცილებდა ბათუმიდან თელავში. ის ვაგონის ჩაუბარებლად გაიპარა სადგურიდან.. ესეც, ბუნებრივია, აძლიერებს პოლიციელის დანაშაულში თანამონაწილეობის ეჭვს.

მიკვირს, ხშირად ორ-სამ ტონა კერძო ტვირთს ოთხიხუთი შეიარაღებული კაცი აცილებს, ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ დიდძალ სახელმწიფო ტვირთს კი ერთი-ორი. ისიც საკვირველია, რომ თბილისიდან რუსთავამდე, სულ თხუთმეტკილომეტრიან მონაკვეთზე, არანაკლებ ორასი პოლიციელი, ბარე, ათჯერ მაინც აჩერებს ერთ მანქანას, მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტები, მეცხოველეობის კომპლექსები, ხორბლისა და სხვა მარცვლეულის საწყობები კი საერთოდ დაუცველია. უპასუხისმგებლო ღამის დარაჯის ანაბრად არის მიგდებული...

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ცნობილია, რომ ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობებიდან ყოველდღიურად ასობით სული პირუტყვი იკარგება, თითქმის ამდენივე განცხადებას დაკარგულის შესახებ, იღებენ პოლიციის განყოფილებები. ბევრი „დაზარალებულის" საწყენად და გულის გასახეთქად უნდა ვთქვა, რომ ყაჩაღისა და ქურდის როლში არაიშვიათად მეურნეობების დირექტორები თუ ფერმების გამგეები გამოდიან — თავად იპარავენ და ქურდებს აბრალებენ. ამ მოვლენამ მასობრივი და ერთობ გავრცელებული ხასიათი მიიღო, ამიტომ სამართალდამცავ ორგანოებს მეტი სიფხიზლე და სიფრთხილე მართებთ მსგავს სიტუაციებში მტყუან-მართლის გარჩევისას. დაახლოებით, იგივე ითქმის ჩაის ფაბრიკების, ციტრუსკომბინატების, ღვინის ქარხნების გაუმაძღარ დირექტორებზეც...

საკუთრების დაცვის დმანისის პოლიციელი დავით მელიქიშვილი კი კინაღამ აქაური ყაჩაღების გადრანის, ჯაჭვლიანისა და აფრასიძის მსხვერპლი გახდა. ჯაჭვლიანმა ესროლა კიდეც მას, მაგრამ ააცილა. საქმე ის იყო, რომ მელიქიშვილი 23 სექტემბერს, ამ ყაჩაღების დაკავების ოპერაციაში მონაწილეობდა. მართალია, ისინი უკვე 27 სექტემბერს გაიქცნენ მარნეულის იზოლატორიდან (ამის შესახებ უკვე იცის მკითხველმა), მაგრამ ყაჩაღი რის ყაჩაღია, შური თუ არ იძია. მათ პოლიციელის გატაცება მოინდომეს და, ალბათ კარგ სადილსაც დაახვედრებდნენ, გაქცევა რომ არ მოეხერხებინა.

სულ სხვა, ტრაგიკული ბედისა აღმოჩნდა რუსთავის პოლიციის თანამშრომელი გია ნასყიდაშვილი, ის ვერ გაექცა თავდამსხმელებს. მათ პოლიციელს წაართვეს პისტოლეტი, ჩასვეს „რაფში", მტკვრის მარჯვენა მხარეს, ტყეში ჩაიყვანეს, მოკლეს და მდინარეში გადააგდეს.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად დაკავებული მკვლელები — მამუკა კილაძე, ნუგზარ ტუხაშვილი, ალექსანდრე და მიხეილ შუაკრიშვილები პასუხს აგებენ კანონის წინაშე. მკვლელობის მოტივი, ჯერჯერობით, უცნობია.

პოლიციის ძირითადი ძალების დაქსაქსულობისა და საომარი მდგომარეობის მიუხედავად, ამ დღეებში რამდენიმე შედეგიანი ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიება განხორციელდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში. სამტრედიაში დააკავეს იური კაცაძე, რომელმაც რამდენიმე მოქალაქის ბინა გაქურდა. გივი გოგავამ და ბორის გვასალიამ კი საყაჩაღოდ ფოთი აირჩიეს, ვერც ისინი დაუძვრნენ კანონის მარწუხებს.

რა არ გადახდა თავს ამ დღეებში ფოთს — იგი მაროდიორების, ყაჩაღებისა და მკვლელების საპარპაშოდ იქცა. ახლა, აქ ცხოვრება ნელ-ნელა ძველ კალაპოტში დგება. მართალია, ვაჭრობის ობიექტები ღია კია, მაგრამ ცარიელია. მუშაობას იწყებს წარმოება-დაწესებულებები, თანდათან იბრუნებს ძველ რიტმს საზღვაო პორტიც.

— ერთი სიტყვით, გაცილებით უკეთესი ოპერატიული მდგომარეობაა, მითხრა ტელეფონით ქალაქის კომენდანტის მოადგილემ, პოლიციის პოლკოვნიკმა **ვაჟა გურგენიძემ**, — დღე და ღამე პატრულირებენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები. გამოვლენილი და დაპატიმრებულია არაერთი ყაჩაღური ჯგუფი, ქურდი, მაროდიორი; ამოღებულია დიდძალი ტყვია-წამალი, ნაქურდალ-ნაყაჩაღარი... ოთხი დამნაშავე უკვე სანქცირებულია და თბილისში გადმოიგზავნებიან.

ბევრი სამუშაო აქვს ქუთაისის პოლიციას. მისი აქტიური მოქმედებით ამ დღეებში შენელდა დამნაშავეობის ტალღა.

ცოტა მიყუჩდნენ, მაგრამ ფაქტობრივად მაინც არ ისვენებენ თბილისელი ქურდები. ახვლედიანის ქუჩაზე მათ ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი გაქურდეს — საუკუნის დასაწყისში, პარიზში შესრულებული ექვსი სურათი წაიღეს...

ზაურ მაკარაძე.

ხსოვნა

მეგი წულუკიძე

გარდაიცვალა თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი მეგი სიმონის ასული წულუკიძე.

მეგი წულუკიძე დაიბადა 1921 წელს თბილისში. ბათუმის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1939-1941 წლებში ცხოვრობდა და სწავლობდა ხაბაროვსკში. 1941 წელს ბრუნდება ბათუმში, სადაც იწყება მეგი წულუკიძის თეატრალური ხელოვნებით გატაცება. 1946 წელს სოხუმის დრამატულ თეატრში მსახიობად იწყებს მუშაობას. 1948-49 წლებში ბათუმის სახელმწიფო ფილარმონიის, 1953 წელს კი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობია.

1954 წელს მეგი წულუკიძეს იღებენ ფილმში „ქართული ბალეტის ოსტატები". აქედან იწყება მსახიობის აქტიური მოღვაწეობა კინოში, რაც უტყუარ ნიჭთან ერთად გარეგნული სილამაზით და მომხიბვლელობით იყო განპირობებული. იგი გადაღებულია ფილმებში — „ეთერის სიმღერა" „სხვისი შვილები", „ფატიმა", „მე ვიტყვი სიმართლეს"; „ყვავილი თოვლზე", „დღე უკანასკნელი, დღე პირველი" და სხვა... ნიჭიერი მსახიობი სხვადასხვა დროს შესრულებული დიდი თუ პატარა როლებით მაყურებლებისთვის დასამახსოვრებელ მნიშვნელოვან და კოლორიტულ სახეებს ქმნის კინოსურათებში — „აბესალომ და ეთერი", „პალიასტომი", „გაქცევა განთიადისას", „[illegible]", „შეხვედრა წარსულთან". კინოში თავისი როლების შესრულების მაღალი დონით მეგი წულუკიძემ მაყურებლის წრფელი სიყვარული დაიმსახურა.

მეგი წულუკიძის, როგორც პროფესიონალი მსახიობის უკანასკნელი ნავსაყუდელი იყო თეატრი. ბოლო წლებში ნაყოფიერად იღვწოდა კინომსახიობთა თეატრის დასში, სადაც მეტად საინტერესო დრამატულ სახეებს ქმნიდა.

მეგი წულუკიძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული თეატრალური და კინოხელოვნებისათვის.

კინოკონცერნი „ქართული ფილმი"; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი.

რამაზ დავითაშვილი

ტყვიებისაგან დაცხრილული ვიცეპოლკოვნიკი რამაზ დავითაშვილი მტერთაგან ხობის აღების დროს შეიპყრეს და უღმერთოდ აწამეს გამძვინვარებულმა რევანშისტებმა. ყვავ-ყორნებისაგან დაფლეთილი, ექიმთა ზრუნვით გარემოცული ვაჟკაცი მებრძოლი რამდენიმე დღე ამაოდ ებრძოდა სიკვდილს ზუგდიდის საავადმყოფოში. მისი სპეტაკი სული ზეცას შეუერთდა.

რამაზ თამაზის ძე დავითაშვილი შეიარაღებულ ძალებში ახალგაზრდა, 21 წლის ვიცეპოლკოვნიკი იყო. მისი ხანმოკლე ცხოვრება საქართველოს ბოლოდროინდელი ტრაგიკული ისტორიის გამომხატველია.

1991 წლის დეკემბრის თბილისის ბრძოლების დროს, ტალინის სამხედრო სასწავლებლის მესამე კურსის სტუდენტი, უყოყმანოდ ჩადგა ექსპრეზიდენტის სამარცხვინო რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. აფხაზეთის ომის პირველი დღიდანვე მონაწილეობას ღებულობდა ბრძოლის ყველაზე სახიფათო და საპასუხისმგებლო უბნებზე, სადაც თავი ისახელა როგორც მამაცმა და გონიერმა მეთაურმა.

რამაზ დავითაშვილი ბატონ გია ყარყარაშვილის ერთგული, უსაყვარლესი თანამებრძოლი და „თეთრი არწივის" ღირსეული წევრი იყო.

დაღუპვამდე რამდენიმე თვით ადრე ახალგაზრდა ოფიცერი დაინიშნა ახლადშექმნილი მანგლისის სასწავლო ცენტრის მეთაურად, სადაც ჩვეული მონდომებითა და გულმოდგინებით უძღვებოდა დაკისრებულ მოვალეობას.

რამაზ დავითაშვილი ჭეშმარიტად მთელ საქართველოს მოუკვდა. სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცის სახელი ნათელ ხსოვნად გაჰყვება შთამომავლობას.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

პავლე ფახუაშვილი

სამოცდათოთხმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა ხის დამუშავების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი, პროექტის მთავარი ინჟინერი პავლე ნოეს ძე ფახუაშვილი.

თავის დიდ და რთულ ცხოვრების გზაზე მას არა ერთი და ორი პასუხსაგები საქმე და თანამდებობა დაკისრებია და ყველგან, ყველა თანამდებობრივ ამპლუაში — დირექტორი იყო, თუ რიგითი ინჟინერი, ღირსეულად გაურთმევია თავი მოვალეობისთვის.

ცამეტი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი ბატონი პავლე იყო 50-იანი წლების ცნობილ სპეციალისტთა ღირსეული წარმომადგენელი. ეს ის პლეადაა, რომელმაც შეძლო საქართველოში ხის დამუშავებისა და ავეჯის წარმოების კუსტარული წესის თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიით შეცვლა.

ბატონი პავლეს — გულისხმიერი და ენერგიული მუშაკის, საუკეთესო მეგობრისა და თანამშრომლის, ამაყი და მომხიბვლავი, საოცრად თბილი და კეთილი გულის მქონე პიროვნების ნათელი სახე და ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრებისა და თანამშრომლების გულში დიდი ადამიანობისა და სიყვარულის ნიმუშად.

მსუბუქად ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

თბილისის სახელო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის თანამშრომლები; ასოციაცია „ქართული ავეჯი".

ასოციაცია „ქართული ავეჯი"-ს მრავალათასიანი კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელო მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი
პავლე ნოეს ძე ფახუაშვილი,
და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ტურისტული ფირმა „გვანცა"
გთავაზობთ მოგზაურობას პოლონეთში.
ქალაქი ვარშავა 5 დღე.
გასვლა ყოველ ხუთშაბათს.
ჩვენი მისამართია: რუსთაველის № 32 (ეზოდან მეორე სართულზე). ტელ.: 99-85-04, 10-დან 17 საათამდე კვირის გარდა.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.
მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.
ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.
გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.
გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.
SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА